

**გამონათვის
თავისუფლების**
საერთაშორისო სტანდარტები

თბილისი 2004



თავისუფლების ინსტიტუტი

გამოცემაზე პასუხისმგებელი:
გიორგი მელაქე

რედაქტორი:
სოზარ სუბარი

მთარგმნელები:
მალხაზ ნარინდოშვილი
ქეთი ვაშაგაშვილი

დიზაინი:
ბასიკ დანელია

ვრცელდება უფასოდ

© 2004, Article 19

ISBN 1-902598-63-6

სარჩევი

წინასიტყვაობა	7
შესავალი	9
საზოგადოების უფლება, იცოდეს	11
ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის პრინციპები	
შესავალი	13
პრინციპი 1. მაქსიმალური ღიაობა	15
პრინციპი 2. გამოქვეყნების ვალდებულება	17
პრინციპი 3. ღია მმართველობის დამკვიდრება	19
პრინციპი 4. გამონაკლისების შეზღუდული სპექტრი	21
პრინციპი 5. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	24
პრინციპი 6. ხარჯები	27
პრინციპი 7. ღია შეხვედრები	28
პრინციპი 8. ღიაობა პრეცედენტული ხდება	30
პრინციპი 9. მამხილებელთა დაცვა	31
ცილისწამება	33
აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის დაცვის პრინციპები	
შესავალი	35
პრემბულა	37
ნაწილი 1. ზოგადი დებულებები	39
პრინციპი 1. აზრის, მისი გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება	39
პრინციპი 1.1 კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა	40

სარჩევი

პრინციპი 1. 2 რეპუტაციის ლეგიტიმური დაცვა	40
პრინციპი 1. 3 აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში	40
პრინციპი 2. ცილისწამების შესახებ კანონის ლეგიტიმური მიზანი	41
პრინციპი 3. სახელმწიფო ორგანოთა ცილისწამება	43
ნაწილი 2. ცილისწამების სისხლისსამართლებრივი რეგულირება	44
პრინციპი 4. დანაშაულებრივი ცილისწამება	44
ნაწილი 3. ცილისწამების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება	47
პრინციპი 5. პროცედურა	47
პრინციპი 6. ინფორმაციის წყაროს დაცვა	48
პრინციპი 7. სიმართლის მტკიცება	48
პრინციპი 8. თანამდებობის პირები	50
პრინციპი 9. დასაბუთებული პუბლიკაცია	50
პრინციპი 10. აზრის გამოხატვა	51
პრინციპი 11. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება	52
პრინციპი 12. პასუხისმგებლობის ფარგლები	54
ნაწილი 4. ზიანის ანაზღაურება	55
პრინციპი 13. ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობა	55
პრინციპი 14. ანაზღაურების არამატერიალური ფორმა	56
პრინციპი 15. ფულადი კომპენსაცია	57
პრინციპი 16. დროებითი აკრძალვა	58
პრინციპი 17. მუდმივი აკრძალვა	58
პრინციპი 18. ხარჯები	59
პრინციპი 19. ბოროტი განზრახვის მქონე მოსარჩელე	59

სარჩევი

ეთერის ხელმისაწვდომობა

გამოხატვის თავისუფლების პრინციპები და
ტელე-რადიო მაუწყებლობის საქმიანობის რეგულირების
საერთაშორისო სტანდარტები

61

შესავალი

63

ნაწილი 1. ძირითადი პრინციპები

65

ნაწილი 2. სამაუწყებლო გარემო

68

ნაწილი 3. სიხშირეები

70

ნაწილი 4. მარეგულირებელი ორგანოები

71

ნაწილი 5. ლიცენზირება

76

ნაწილი 6. შინაარსობრივი რეგულირება

80

ნაწილი 7. სანქციები

82

ნაწილი 8. სახელმწიფო რესურსების ხელმისაწვდომობა

84

ნაწილი 9. არჩევნების გაშუქება

85


ნაწილი 10. სახელმწიფო მაუწყებლობები

88

იოჰანესბურგის პრინციპები

91

ეროვნული უშიშროების, აზრის გამოხატვის
თავისუფლებისა და ინფორმაციის მიღების თაობაზე



წინასიტყვაობა

ეს გამოცემა აერთიანებს **ARTICLE 19** მიერ “საერთაშორისო სტანდარტების სერიის” ფარგლებში **1996** წლის ნოემბრიდან **2002** წლის აპრილამდე შემუშავებულ პრინციპებს.


იოჰანესბურგის პრინციპები: ეროვნული უშიშროება, გამოსატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (**1996**) შემუშავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შემუშავებულ ვარიანტს საბოლოო სახე მისცეს სანდრა კოლივერმა და **ARTICLE 19**-ის სამართლებრის პროგრამის დირექტორმა. სამი დანარჩენი პრინციპი: საზოგადოების უფლება, იცოდეს (**1999**); ცილისწამება: აზრის გამოსატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის დაცვის პრინციპები (**2000**); ეთერის ხელმისაწვდომობა, გამოსატვის თავისუფლების პრინციპები და ტელე-რადიო მაუწყებლობის საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტები (**2002**) - შემუშავდა ტობი მენდელის, **ARTICLE 19**-ის სამართლებრივი პროგრამის ახლანდელი დირექტორის მიერ.

პუბლიკაციაში მოცემული ყველა დოკუმენტი წარმოადგენს ექსპერტთა ხანგრძლივი მუშაობის შედეგს, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა **ARTICLE 19** თავის პარტნიორებთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

გამოცემისათვის შესავალი დაწერა ტობი მენდელმა, რომელიც ამჟამად უძღვება სამართლის პროგრამას **ARTICLE 19**-ში.

ტექსტი ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა **ARTICLE 19**-ის პარტნიორი ორგანიზაციის “თავისუფლების ინსტიტუტის” მიერ.

ARTICLE 19 მადლობას უხდის ეუთო-ს მედიის თავისუფლების პროგრამას ფინანსური დახმარებისათვის.



შენსავალი

გამოხატვის თავისუფლება ძირითადი უნივერსალური ღირებულებაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და განსაზღვრავს პიროვნების ღირსებას. მისი მნიშვნელობა აღიარებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, როდესაც მიიჩნიეს, რომ გამოხატვის თავისუფლება «ქვაკუთხედი ყველა იმ უფლებისა, რომელთა დაცვაც გაეროს პრიორიტეტს წარმოადგენს» (UNGA, 1948). იმ საზოგადოებებში, სადაც გამოხატვის თავისუფლება დათრგუნულია, როგორც წესი ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა ხშირი დარღვევის ფაქტებს და პირიქით, იქ სადაც დაცულია გამოხატვის თავისუფლება, მეტია შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის და შემცირებისა.

გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია გაეროს ყველა ძირითადი დოკუმენტით, მათ შორის სამი ძირითადი რეგიონალური ხელშეკრულებითაც. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლი შემდგენიერად განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლებას:

«ყოველ ადამიანს აქვს აზრის და მისი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას იქონიოს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.»

ყველა დანარჩენი საკანონმდებლო გარანტია, რომელიც საერთაშორისო აქტებში გვხვდება იმეორებს აღნიშნულ აზრს. თუმცა უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სტანდარტები არ ცდებიან ზოგადი რეგულირების ფარგლებს და არ გვთავაზობენ კონკრეტულ გზებს ამ უფლების გამოყენებისათვის. მაგალითისთვის, არ არსებობს კონკრეტული რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მოდელი უკეთესი იქნებოდა მაუწყებლობის საკითხთა რეგულირებისათვის, ან როგორ უნდა მოგვარდეს საკანონმდებლო წინააღმდეგობები, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისა და პიროვნების რეპუტაციის დაცვის ურთიერთმიმართებისას შეიძლება წარმოიშვას. ასეთ პრობლემათა გადაწყვეტისათვის უპრიანი იქნება მხედველობაში მივიღოთ, არა მხოლოდ ზემოთხსენებული ხელშეკრულების ზოგადი ტექსტი, არამედ ის ურიცხვი პრეცედენტები და საერთაშორისო ორგანოების მიერ შექმნილი ინტერპრეტაციები, რომლებიც წლების მანძილზე ვითარდებოდა და მეტ მოქნილობასა და კონკრეტულობას სძენდა აღნიშნულ უფლებას. გამოხატვის თავისუფლების ანალიზისათვის, მნიშვნელოვანია, აგრეთვე ყურადღება მიექცეს სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ მოცემული ცნების ინტერპრეტაციას, როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო პრეცედენტების დონეზე.

გამოხატვის თავისუფლების გავლენის შესწავლა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს და სპეციფიურ გამოცდილებას საჭიროებს. **ARTICLE 19** მუშაობის მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში სპეციფიურად სწავლობს გამოხატვის თავისუფლებას და საერთაშორისო კვლევების მეშვეობით აყალიბებს ერთგვარ სტანდარტებს გამოხატვის თავისუფლების სფეროში. მეცნიერთა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა დახმარებით **ARTICLE 19** გაანალიზა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკა და გამოყო ის საკითხები, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი მნიშვნელობით და რეგულირდება, როგორც საერთაშორისო ასევე შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებით. მაგალითისთვის მოვიყვანდით ისეთ თემებს, როგორცაა:

- ეროვნული უშიშროება, გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობა;
- გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის დაცვა;
- გამოხატვის თავისუფლება და მათემატიკის კანონმდებლობა


ARTICLE 19 მიერ გამოცემული იქნა სხვადასხვა პუბლიკაციები საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომელიც აღწერს ზემოთ მოცემულ საკითხებს. ზოგიერთი საკმაოდ აღიარებით სარგებლობს ფართო წრეებში, მაგრამ უდავოა, რომ ყოველი ნაშრომი სამართლის ამ დარგის მონაპოვრად იქნა აღიარებული. უმეტესობა **ARTICLE 19** მიერ გამოცემული კვლევებისა გამოიყენეს გაეროს სპეციალურმა მომხსენებლებმა აზრის და გამოხატვის თავისუფლებაზე კვლევების ჩატარებისას. ამის გამო ბევრი ნაშრომი დღეს საერთაშორისო სამართლის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია და წარმატებით გამოიყენება იურისტების მიერ სასამართლოებში საქმის წარმოებისას.

მოცემულ პუბლიკაციაში თავი მოუყარეთ ყველა იმ პრინციპის ერთობლიობას, რომელიც **ARTICLE 19** მიერ იქნა შემუშავებული და რომელმაც დღეს ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იმედი გვაქვს, რომ ამ გამოცემით მიღწეული იქნება ჩვენი მიზანი და ფართო საზოგადოებასა და სპეციალისტებს საშუალება ექნებათ ერთობლიობაში გაეცნონ საერთაშორისო სტანდარტებს გამოხატვის თავისუფლების სფეროში და გაიმდიდრონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.

ტოზი მენდელი

სამართლებრივი პროგრამების დირექტორი
ARTICLE 19

2004 თებერვალი



საზოგადოების უფლება, იცოდეს

ინფორმაციის თავისუფლების
კანონმდებლობის პრინციპები



შესავალი

ინფორმაცია დემოკრატიის ჟანგბადია. თუკი ხალხმა არ იცის, რა ხდება იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობს, თუკი მმართველების მოქმედება დაფარულია, მაშინ ხალხი ვერ შეძლებს, შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა. ინფორმაცია ხალხისთვის არა მხოლოდ აუცილებელია, არამედ იგი კარგი მმართველობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მხოლოდ ცუდ მმართველობას სჭირდება საიდუმლო იმისთვის, რომ გადარჩეს. ინფორმაციის დახურვა ხელს უწყობს კორუფციის, მფლანგველობისა და არაეფექტური მართვის ჩამოყალიბებას. როგორც ამარტია სენმა – ეკონომიკის სფეროში ნობელის პრემიის ლაურეატმა – დაასკვნა, ქვეყანაში სადაც მმართველობის ფორმა დემოკრატიულია, პრესა კი – თავისუფალი, ხალხი არასოდეს იშინებდა. ინფორმაციის ფლობა ხალხს საშუალებას აძლევს, მუდამ ადევნოს თვალყური მთავრობის მოქმედებას და იმსჯელოს მის საქმიანობაზე.

ხშირად მთავრობას ურჩევნია, დაფარულად აკეთოს თავისი საქმე. სუაჰილში მთავრობის ერთ-ერთი სინონიმია “საშინელი საიდუმლო”. თვით დემოკრატიული მთავრობაც კი ცდილობს, მნიშვნელოვანი საქმეები მოსახლეობისგან დაფარულად აკეთოს. ამისთვის კი მიზეზის მონახვა არც ისე რთულია – ეს შეიძლება იყოს უსაფრთხოების ზომები, ფართო საზოგადოებრივი ინტერესი და მრავალი სხვა. ძალიან ხშირად მთავრობა ოფიციალურ ინფორმაციას ისე ეპყრობა, როგორც საკუთრებას და არ ითვალისწინებენ, რომ ამ ინფორმაციას ისინი ისე ფლობენ, როგორც ხალხის ნარმომადგენლები.

ამ და სხვა მიზეზების გამო ორგანიზაცია **ARTICLE 19**-მა გამოაქვეყნა საერთაშორისო პრინციპების ერთობლიობა, რათა დამკვიდრდეს ინფორმაციის მიღების სტანდარტი. ეს სტანდარტი საშუალებას მისცემს ნებისმიერ ადამიანს, შეაფასოს ოფიციალური ინფორმაციის მიღების ადგილობრივი სტანდარტის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. მასში აშკარადაა ნაჩვენები ფაქტები, რომელთა მეშვეობითაც მთავრობას შეუძლია მიაღწიოს მაქსიმალურ

ლიაობას. ყოველივე ეს შექმნილია საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკაზე დაყრდნობით.

პრინციპების, როგორც სტანდარტის არსებობა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თავისთავად არ არის საკმარისი. ეს პრინციპები აუცილებლად უნდა გამოიყენონ აქტიური კამპანიის მწარმოებლებმა, იურისტებმა, არჩეულმა წარმომადგენლებმა და სხვა თანამდებობის პირებმა. ასევე იმ ადამიანებმა, რომლებიც გრძნობენ მათ მნიშვნელობას და ყველაფერს აკეთებენ, რომ მთავრობაში გამჭვირვალება იყოს იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაც აუცილებლად დგება ყველა საზოგადოებაში. ჩვენ ვაქვეყნებთ ამ პრინციპებს მმართველობისა და პასუხისმგებლობის გაუმჯობესების და დემოკრატიის გაძლიერების მიზნით მთელს მსოფლიოში.

ეს პრინციპები აყალიბებს სტანდარტებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო რეჟიმებისთვის და შედეგად ხელს უწყობს ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტების დამკვიდრებას. ისინი განკუთვნილია ინფორმაციის თავისუფლების ეროვნული კანონმდებლობის და ოფიციალური ინფორმაციის ლიაობისათვის, თუმცა მასში შედის ასევე ისეთი სახის ინფორმაციის რომელსაც ფლობენ ისეთი საერთაშორისო და სამთავრობო-საშორისო ორგანიზაციები როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევრო-კავშირი. ეს პრინციპები ეყრდნობა საერთაშორისო და რეგიონულ კანონებს და სტანდარტებს და განვითარებულ სახელმწიფო პრაქტიკას, რომლებიც *Inter alia* ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში; ავითარებს სახელმწიფო პრაქტიკას (რაც, სხვათა შორის, აისახება ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში) და ერთა თანამეგობრობის მიერ აღიარებულ პრინციპებს. ყოველივე ეს დიდი ხნის შესწავლის და კონსულტაციების შედეგია, რომელიც ეყრდნობა პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პრინციპი 1. მაქსიმალური ღიაობა

მაქსიმალური ღიაობა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მთავარი პრინციპია

ინფორმაციის მაქსიმალური ღიაობის პრინციპი ამკვიდრებს პრეზუმფციას, რომ ყველა ინფორმაცია, რომელსაც ფლობს რომელიმე საჯარო დაწესებულება, ღიაა და ეს დადგენილება დაირღვევა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (იხილეთ პრინციპი 4). ეს პრინციპი არის ინფორმაციის თავისუფლების ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში კონსტიტუციით უნდა იყოს აღიარებული, რათა ნათელი გახდეს, რომ ინფორმაციის თავისუფლება ძირითადი უფლებაა. კანონმდებლობის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მაქსიმალური ღიაობის პრაქტიკაში დანერგვა.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია და საზოგადოების ყველა წევრს შესაბამისი უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია. ტერიტორიაზე მყოფმა ყველა პირმა უნდა ისარგებლოს ამ უფლებით. არ არის საჭირო, ინფორმაციის მოთხოვნისას პირმა დაასახელოს რაიმე განსაკუთრებული ინტერესი. როცა საჯარო დაწესებულება უარს ამბობს ინფორმაციის გაცემაზე, მან უნდა დაასაბუთოს უარი წარმოების ყველა სტადიაზე, სხვანაირად რომ ვთქვათ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ დახურული ინფორმაცია განეკუთვნება იმ გამონაკლისებს, რომლებსაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

განსაზღვრებები

ორივე ტერმინი – “ინფორმაცია” და “საჯარო დაწესებულება” – ფართოდ უნდა განიმარტოს.

ტერმინი “ინფორმაცია” აერთიანებს ყველა სახის ინფორმაციას, რომელსაც ფლობს საჯარო ორგანო, მიუხედავად ფორმისა (იქნება ეს დოკუმენტი, ფირი, ჩანაწერი კასეტაზე, ელექტრონული თუ სხვა), მისი წყაროსი (საიდან მოდის იგი, საჯარო თუ სხვა ორგანოდან) და ინფორმაციის მიღების თარიღისა. კანონმდებლობა ასევე უნდა ეხებოდეს იმ ინფორმაციას, რომელიც კლასიფიცირებულია და მასზეც იგივე ტესტი ვრცელდება, რაც სხვა ინფორმაციაზე.

ინფორმაციის ღიაობის საკითხის განხილვისას ტერმინი “საჯარო დაწესებულება” უნდა გავიზნოთ არა როგორც ფორმალური სახელი, არამედ ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ მომსახურების იმ ტიპზე, რომელსაც იგი გვთავაზობს. იგი უნდა მოიცავდეს ხელისუფლების ყველა განშტოებას და დონეს ადგილობრივი მთავრობისა და არჩეული ორგანოების ჩათვლით, ასევე დაწესებულებებს, რომლებიც კანონით დადგენილი მანდატით მუშაობენ, ნაციონალიზირებულ საწარმოებს და საზოგადოებრივ კორპორაციებს, კვაზი-არასამთავრობო ორგანიზაციებს, იურიდიულ და კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებრივ ფუნქციებს (როგორც არის გზების აღდგენა, რკინიგზის შეკეთება და ა.შ.). ამ ჯგუფში შეიძლება კერძო ორგანიზაციებიც გავაერთიანოთ, თუკი ისინი ფლობენ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც შეამცირებს საფრთხეს, რომელიც ემუქრება საზოგადოებრივ ინტერესებს. ასევე სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებიც უნდა დაემორჩილონ ინფორმაციის თავისუფლების კანონს, რომელიც ამ დოკუმენტში ჩამოთვლილ პრინციპებზეა დამყარებული.

ინფორმაციის განადგურება

იმისათვის, რომ დავიცვათ დოკუმენტის სრული სახე და ქმედითუნარიანობა, კანონით უნდა იქნეს დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ინფორმაციის განზრახ განადგურებისთვის ან მისი მიღების ხელის შეშლისთვის. კანონმა ასევე უნდა დაამკვიდროს საჯარო დაწესებულების მიერ დოკუმენტის დაცვის და მოხმარების მინიმალური სტანდარტები. დაწესებულებამ უნდა გამოყოს რესურსი და გამოიჩინოს ყურადღება შენახვის პროცესის გასაკონტროლებლად, რათა თავიდან აიცილოს დოკუმენტის შეცვლა ან გადასხვაფერება. გამჭვირვალობის ვალდებულება უნდა შეეხოს არა მხოლოდ დოკუმენტის სახით არსებულ ინფორმაციას, არამედ თავად დოკუმენტსაც.

პრინციპი 2. გამოქვეყნების ვალდებულება

საჯარო დაწესებულებები ვალდებული უნდა იყვნენ, გამოაქვეყნონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ინფორმაციის თავისუფლება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. კერძოდ, საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი და ხალხისთვის საინტერესო დოკუმენტების გამოქვეყნება და ფართოდ გავრცელება. კანონმა უნდა დააწესოს როგორც საერთო, ისე უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება.

საჯარო დაწესებულებებს უნდა დაევალოთ, გამოაქვეყნონ მინიმუმ შემდეგი კატეგორიის ინფორმაცია:

- ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს საჯარო დაწესებულება, მათ შორის ინფორმაცია ორგანოს ფუნქციონირების შესახებ, მისი ხარჯები, მიზნები, აუდიტორული ანგარიშები, სტანდარტები, მიღწევები. განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელშიც ეს ორგანო ემსახურება საზოგადოებას;
- ინფორმაცია იმ მოთხოვნების, საჩივრების და ქმედების შესახებ, რაც საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მოიმოქმედონ ამ ორგანიზაციის მისამართით;
- მითითებები იმ პროცედურებზე, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- ინფორმაციის სახეები, რომელსაც ეს ორგანო ფლობს და მისი შენახვის ფორმა;
- იმ გადანეცილებების შინაარსი, რომელიც საზოგადოებას ეხება, ასევე გადანეცილებების მიღების მიზეზები და მთავარი მასალა, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა გადანეცილება.

პრინციპი 3. ღია მმართველობის დამკვიდრება

საჯარო დაწესებულებებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ღია მმართველობის საკითხის წინ წამოწევის

საზოგადოებისათვის საკუთარი უფლებების შესწავლა და მთავრობის გამჭვირვალობის საკითხის მხარდაჭერა უპირველესი ნაბიჯია ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მიზნების მისაღწევად და გასათავისებლად. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მოუწესრიგებელმა საჯარო სამსახურმა შეიძლება თვით ყველაზე პროგრესული კანონმდებლობაც კი დათრგუნოს. ასე რომ, აქტიური მხარდაჭერა ინფორმაციის თავისუფლების რეჟიმის უმთავრესი კომპონენტია. ეს ის სფეროა, სადაც მოქმედების ფორმა ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირია იმ ფაქტორების გათვალისწინებით, თუ როგორ არის ორგანიზებული საჯარო სამსახური, როგორია ინფორმაციის შეზღუდვის ძირითადი ფაქტორები, საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების საერთო დონე.

საზოგადოების განათლება

კანონმდებლობა, როგორც მინიმუმ, უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებისათვის განათლების მიწოდებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ინფორმაციის მასშტაბი, რომელიც ღია და ხელმისაწვდომია, ასევე ამ ინფორმაციის მიღების პროცედურა და ფორმები. იმ ქვეყნებში, სადაც პრესის მოხმარების ხარისხი და განათლების დონე დაბალია, ტელევიზია ინფორმაციის გავრცელებისა და განათლების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა აუცილებელია სხვა ალტერნატივაც, როგორც არის შეხვედრები და მოკლე, სარეკლამო ტიპის ფილმები. მსგავსი ქმედებები უნდა განახორციელონ როგორც ინდივიდუალურმა საჯარო დაწესებულებებმა, ასევე სპეციალურად შექმნილმა და ადეკვატურად დაფინანსებულმა ოფიციალურმა

ორგანიზაციებმა. ან სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილმა ორგანოებმა და იმ პირებმა, ვინც განიხილავს ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

“საიდუმლოების კულტურის” აღმოფხვრა

კანონმა უნდა შექმნას საჭირო მექანიზმები, რათა შეებრძოლოს “საიდუმლოს” დამკვიდრებულ წესს, რომელსაც ღრმად აქვს მოკიდებული ფეხი მთავრობაში. მასში უნდა შედიოდეს მოთხოვნა, რომ საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლების განათლების ამაღლება, კერძოდ ჩაუტარონ მათ ტრენინგები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. ამ სახის ტრენინგები მიზნად ისახავს ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობის და მისი შესაძლებლობების ხაზგასმას; აცნობს მათ ინფორმაციის მიღების პროცედურული მექანიზმს და ინფორმაციის მიღების ეფექტურ ფორმას, მამხილებელთა დაცვის მექანიზმებს და იმ ინფორმაციას, რომლის გამოქვეყნებაც ორგანოს აუცილებლად მოეთხოვება.

ოფიციალურმა ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივ განათლებაზე, დიდი როლი უნდა ითამაშოს მთავრობის ღიაობის საკითხის წინ წამოწევაში. მის ინიციატივებში უნდა შედიოდეს საჯარო დაწესებულებების წახალისება, რასაც კარგი ეფექტი აქვს. ასევე კამპანიების ჩატარება “საიდუმლოს” კულტურის აღმოსაფხვრელად და იმ ორგანიზაციების წასახალისებლად, რომლებიც აკრიტიკებენ ინფორმაციის გასაიდუმლოებას და იმ ორგანოებს, სადაც ასეთს აქვს ადგილი. არსებობს სხვა შესაძლებლობაც – ეს არის წლიური მიმოხილვის წარდგენა პარლამენტში ან საპარლამენტო ორგანოში, სადაც აღწერილი იქნება იმ ზომების ჩამონათვალი, რაც ინფორმაციის გამჭვირვალობის დასამკვიდრებლად იქნა გატარებული, ის დაბრკოლებები, რაც ხელს უშლის ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას და ზომები, რომელიც უნდა განხორციელდეს მომავალ წელს.

უნდა მოხდეს საჯარო დაწესებულებების წახალისება, რათა მათ მიიღონ შიდა ქცევის კოდექსები ინფორმაციის ღიაობის და ხელმისაწვდომობის უფლებაზე.

პრინციპი 4. გამონაკლისების შეზღუდული სპექტრი

გამონაკლისები ნათლად და ვიწროდ უნდა იყოს ფორმულირებული და უნდა დაექვემდებაროს “ზიანის” და “საზოგადოებრივი ინტერესის” ტესტს

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოთხოვნა, თუკი ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია გამონაკლისებს განეკუთვნება. ინფორმაციის გამოქვეყნებაზე უარი არ ჩაითვლება გამართლებულად, თუკი საჯარო დაწესებულება ვერ დაამტკიცებს, რომ ინფორმაცია აკმაყოფილებს სამნაწილიან ტესტს:

სამნაწილიანი ტესტი

- ინფორმაცია უნდა უკავშირდებოდეს კანონში ჩამოთვლილ ლეგიტიმურ მიზნებს;
- ამ ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეში უნდა აგდებდეს და არსებით ზიანს აყენებდეს ამ ლეგიტიმურ მიზანს;
- ზიანი, რომელიც ადგება მიზანს, უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ინფორმაციის მიღების საზოგადოებრივი ინტერესი.

არც ერთი საჯარო დაწესებულება არ უნდა გამოვრიცხოთ კანონის შესრულების ვალდებულებიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ფუნქციების უმეტესი ნაწილი გამონაკლისების ზონაში ხვდება. ეს ეხება როგორც მთავრობის ყველა განსტობას (როგორცაა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოები), ისე მმართველობის ყველა ფუნქციას (მაგალითად, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ორგანოების ფუნქციები). ინფორმაციის

არგამოქვეყნება უნდა იქნეს დასაბუთებული ყველა მოთხოვნის მიხედვით.

არ შეიძლება ინფორმაციის შეზღუდვის გამართლება, თუ მისი მიზანია, დამალოს მთავრობის უხერხული მდგომარეობა ან მისი დანაშაული.

ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც აბარებენ გამონაკლისებს

კანონში უნდა იყოს ნარმოდგენილი ლეგიტიმური მიზნების სრული სია, რომელმაც შეიძლება გაამართლოს ინფორმაციის დახურვა. ამ სიაში უნდა შევიდეს მხოლოდ ის ინტერესები, რომელთაც ინფორმაციის დახურვისთვის კანონიერი საფუძველი აქვთ. ამასთან, სია უნდა შეიზღუდოს ისეთი საკითხებით, როგორცაა სამართალდამცავთა საქმიანობა, ეროვნული უსაფრთხოება, კომერციული და სხვა სახის საიდუმლოება, საზოგადოებრივი ან ინდივიდუალური უსაფრთხოება, სახელმწიფოს გადანაცვების მიღების პროცესის ეფექტურობა და მთლიანობა.

გამონაკლისები ძალიან ვიწროდ უნდა იყოს ფორმირებული, რათა თავიდან ავიცილოთ სიაში იმ მასალის მოხვედრა, რომელიც ზიანს არ აყენებს კანონიერ ინტერესებს. მათი დაყოფა უნდა მოხდეს არა დოკუმენტის ტიპის, არამედ შინაარსის მიხედვით. რა თქმა უნდა, გამონაკლისების სტანდარტი გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოებისთვის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელობის მქონედ კლასიფიცირებული ინფორმაცია შეიძლება სულაც აღარ იყოს ასეთი, როდესაც ყოველგვარი საფრთხე გაქრება.

უარაა უნდა დააკმაყოფილოს არსებითი ზიანის ტესტი

ინფორმაციის დასახურად საკმარისი არ არის მხოლოდ ის მიზეზი, რომ იგი უბრალოდ ხვდება კანონში ჩამოთვლილი მიზნების სპექტრში. საჯარო დაწესებულებამ ასევე უნდა დაამტკიცოს რომ ინფორმაციის გამჟღავნება არსებით ზიანს მიაყენებს კანონიერ მიზნებს. ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება მოუტანოს მიზანს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. მაგალითად, სამხედრო სფეროში კორუფციის მხილება ერთი შეხედვით ასუსტებს ეროვნულ თავდაცვას, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხელს უწყობს კორუფციის აღმოფხვრას და ეხმარება

შეიარაღებული ძალის გაძლიერებას. თუკი ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის დაფარვას კანონიერად მივიჩნევთ, მაშინ ინფორმაციის გამჟღავნებამ უნდა მიაყენოს მიზანს ზიანი, რათა საბოლოოდ დადებითად იმოქმედოს მასზე.

უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ინტერესი

მაშინაც კი, როცა ინფორმაციის საჯაროობა არსებით ზიანს აყენებს მიზნებს, იგი მაინც უნდა გამჟღავნდეს, თუ ინფორმაციის საჯაროობის ინტერესი ზიანს გადაწონის. მაგალითად, ზოგჯერ შეიძლება ჩანდეს, თითქოს ესა თუ ის ინფორმაცია ერთი შეხედვით დახურული უნდა იყოს, მაგრამ ამხილოს მაღალი დონის კორუფცია მთავრობაში. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის მიერ მოტანილი ზიანი უნდა შევადაროთ საზოგადოებრივ ინტერესს მიიღოს ინფორმაცია. როცა საზოგადოებრივი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, კანონმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ღიაობა.

პრინციპი 5. ინფორმაციის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა

ინფორმაციის მოთხოვნის განხილვა უნდა მოხდეს სწრაფად და საპარტილიანად. უარის მიღების შემთხვევაში ყველასათვის ხელისაწვდომი უნდა იყოს დამოუკიდებელი განსჯის მიქანიზმი

ინფორმაციის მოთხოვნის პროცესი სამი სხვადასხვაგვარი ტიპის ორგანოში შეიძლება წარმოებდეს: საჯარო დაწესებულებებში, დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში. სადაც საჭიროა, უნდა არსებობდეს პირობები, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ისეთი ჯგუფებისთვის, როგორცაა ყრუ-მუნჯები, უსინათლოები ან ის ადამიანები, რომლებიც ვერ ფლობენ ინფორმაციის ენას.

ყველა საჯარო დაწესებულებას უნდა მოეთხოვებოდეს ღია, ხელმისაწვდომი შიდა სისტემის დამკვიდრება, რათა შეძლონ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მინოდების უფლების უზრუნველყოფა. მათ უნდა გამოყონ ინდივიდი, რომელიც პასუხს აგებს მსგავსი მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და კანონის აღსრულებაზე.

საჯარო დაწესებულებებს უნდა მოეთხოვებოდეთ, რომ დახმარება გაუწიონ პირებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისას, თუ მათ მიერ წარდგენილი განცხადება არ არის ნათელი, ძალიან ზოგადია ან საჭიროებს სწორ ფორმულირებას. მეორე მხრივ, მათ აქვთ უფლება, არ დააკმაყოფილონ არასერიოზული ან გამაღიზიანებელი მოთხოვნები. საჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ უარი თქვან გამოქვეყნებული ინფორმაციის განმეორებით გამოქვეყნებაზე. ასეთ შემთხვევაში მათ ინფორმაციის მომთხოვნს, უბრალოდ, დაბეჭდილ წყაროზე უნდა მიუთითონ.

კანონმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ინფორმაციის მოთხოვნის და განხილვის პროცესის ვადები, ასევე უნდა დაადგინოს, რომ უარის შემთხვევაში სავალდებულოა წერილობითი დასაბუთების გაცემა.

ბასაჩივრება

სახელმწიფოში უნდა არსებობდეს გასაჩივრების ორგანო, რომელიც განიხილავს თავდაპირველ გადაწყვეტილებას.

თუკი საჯარო დაწესებულება უარს ეტყვის მოქალაქეს ინფორმაციის გაცემაზე, კანონმა მოქალაქეს უნდა მისცეს უფლება, საჩივრით მიმართოს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. ეს შეიძლება იყოს უკვე არსებული ორგანო, როგორც არის ომბუდსმენი ან ადამიანის უფლებების კომისია, ან კიდევ ორგანო, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისთვის არის შექმნილი. ყველა შემთხვევაში ორგანო უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს და უნდა ჰქონდეს შესაფერისი ძალაუფლება. ამ ორგანოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს გარანტირებული როგორც ფორმალურად, ისე იმ პროცესის საშუალებით, რომლითაც მისი თავმჯდომარე და შემადგენლობა ინიშნება.

დანიშნულები უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, როგორცაა საპარლამენტო კომისია, ან თავად პარლამენტი. ამასთანავე დანიშნვის პროცესი უნდა იყოს ღია და საშუალებას აძლევდეს საზოგადოებას რომ თავისი წვლილი შეიტანოს მასში (გამჭვირვალე პროცედურა წევრების წარდგენისათვის) იმ პირებისთვის, რომლებიც ინიშნებიან ასეთ ორგანოებში, უნდა არსებობდეს პროფესიონალიზმის, დამოუკიდებლობის და კომპეტენციის მკაცრი სტანდარტი.

პროცედურა, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს ინფორმაციის მიღების მოთხოვნაზე უარს, უნდა მიმდინარეობდეს სწრაფად და მინიმალური დანახარჯებით, რაც დაარწმუნებს საზოგადოების ყველა წევრს, რომ პროცედურა და უამრავი სხვა დაბრკოლება არ არის გამიზნული ინფორმაციის მოთხოვნის მიზნის ჩასახშობად.

ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს საჩივრის გამოძიების სრული უფლება, რაშიც შედის მონმეების დაკითხვის შესაძლებლობა. ასევე, თუკი შესაძლებელი და გამართლებულია, მას უნდა შეეძლოს საჯარო დაწესებულებიდან საჭირო ინფორმაციის და თვით ჩანაწერის მოთხოვნაც და მისი დახურულ სხდომაზე განხილვა.

საქმის გამოძიების შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება უარი თქვას საჩივრის განხილვაზე, მოთხოვოს საჯარო

დანესებულებას, გამოაქვეყნოს ინფორმაცია, ასევე შეიტანოს შესწორება საჯარო დანესებულების მიერ დაკისრებულ გადასახადებში. მას შეუძლია დააჯარიმოს საჯარო დანესებულებები მისი ქმედებების გამო და თავად მათ დააკისროს ჯარიმა.

ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, მიმართოს სასამართლოს სისხლის სამართლის დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში, დარღვევის ფაქტის დამალვის ან დოკუმენტის მიზანმიმართულად განადგურების აღმოჩენის შემთხვევაში.

ორივე მხარეს – განმცხადებელს და საჯარო დანესებულებას – უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სასამართლოში გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გასაჩივრებისას მსჯელობის საგანი შესაძლებელია გახდეს როგორც საქმე სრულად და არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა. ეს დაარწმუნებს საზოგადოებას, რომ სათანადო ყურადღება ექცევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა გამოხატვის თავისუფლების წინ წამოწევა.

პრინციპი 6. სარჯები

ინფორმაციის მოთხოვნის დროს ინდივიდებს არ უნდა შეეძინათ დაბრკოლება მაღალი გადასახადების გამო

საჯარო დაწესებულებისგან ინფორმაციის მიღების ფასი არ უნდა იყოს ისეთი მაღალი, რომ პოტენციურმა მოთხოვნელმა თავი შეიკავონ მოთხოვნისგან, რადგან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის მიზანია, წინ წამოწიოს ინფორმაციის თავისუფლად მიღების საკითხი. ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად ინფორმაციის ღიაობა თავისი მნიშვნელობით დიდად აღემატება იმ რესურსების ღირებულებას, რომელიც იხარჯება ამ უფლების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რესურსების ღირებულება არსადაა იმხელა, რომ გავლენა იქონიოს ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტების შეცვლაზე.

მთელ მსოფლიოში მოქმედებდა განსხვავებული სისტემები, რათა დაერწმუნებინა ადამიანები, რომ ფასი ინფორმაციის მოთხოვნილებაზე უარყოფითად ვერ იმოქმედებს. ზოგიერთ იურისდიქციაში მოქმედებს ორსაფეხურიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს დადგენილი ფასის შემოღებას და ასევე სპეციალური თანხის დაწესებას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ინფორმაციის მოძიებასა და მიწოდებაზე. ეს უკანასკნელი არსებითად უნდა შემცირდეს, თუ საქმე ეხება პირადი ინფორმაციის მოთხოვნის და საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებს. ზოგიერთ იურისდიქციაში კომერციული ინფორმაციის მოთხოვნაზე უფრო მაღალი გადასახადია დაკისრებული.

პრინციპი 7. ღია შეხვედრები

საჯარო დაწესებულებების შეხვედრები ხალხისთვის ღია უნდა იყოს

ინფორმაციის თავისუფლებაში შედის საზოგადოების უფლება, იყოს ინფორმირებული მთავრობის ქმედების შესახებ და მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობამ, თავის მხრივ, უნდა დაამკვიდროს პრეზუმფცია, რომ მმართველი ორგანოების ყველა შეხვედრა საზოგადოებისთვის ღია უნდა იყოს.

“მმართველობა” ამ კონტექსტში გულისხმობს მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების უფლების გამოყენებას, ისე რომ ორგანოები რომლებიც უბრალოდ გასცემენ რჩევას, არ უნდა შევიდნენ ამ კლასიფიკაციაში. პოლიტიკური კომიტეტები, ანუ იმავე პოლიტიკური პარტიის წევრთა შეხვედრები, არ უნდა განვიხილოთ, როგორც მმართველი ორგანოები.

მეორეს მხრივ, “მმართველებში” შედის არჩეული ორგანოების და მათი კომიტეტების შეხვედრები, დაგეგმარების საბჭოები, საზოგადოებრივი საბჭოები, საგანმანათლებლო საბჭოები და ინდუსტრიული განვითარების სააგენტოები.

“შეხვედრა” ამ კონტექსტში გულისხმობს საქმიან, ფორმალურ შეხვედრას, საჯარო დაწესებულებას ოფიციალურ შეკრებას საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებით. კვორუმისა და ფორმალური პროცედურების არსებობის აუცილებლობა ამტკიცებს, რომ შეხვედრა ნამდვილად ფორმალურია.

აუცილებელია შეხვედრის წინასწარ გამოცხადება, რათა საზოგადოებას მიეცეს მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა. ასევე კანონი უნდა ითვალისწინებდეს დასწრების უფლების წინასწარ გამოცხადებასაც.

შეხვედრები შეიძლება დახურულიც იყოს, მაგრამ მხოლოდ დადგენილი პროცედურის თანახმად და იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს დახურვის მიზეზი. დახურული შეხვედრის შესახებ გადანყვეტილება უნდა ეუწყოს საზოგადოებას. შეხვედრის დახურვის მიზეზები უფრო ბევრია, ვიდრე გამონაკლისი ინფორმაციის რაოდენობა, მაგრამ არც ის არის შეუზღუდავი. შეხვედრის დახურვის მიზეზებში უნდა შედიოდეს საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სამართალდამცველთა საქმიანობა ან გამოძიება, თანამშრომლების და საკადრო საკითხები, კომერციული საკითხები და ეროვნული უსაფრთხოება.

პრინციპი 8. ღიაობა პრესელენტული სფეროში

კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება მაქსიმალური ღიაობის პრინციპს, უნდა შენობდეს ან გაუქმდეს

ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის მიხედვით, სხვა კანონების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს მისი ნორმების მიხედვით, ისე რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს ინფორმაციის თავისუფლების პირობები. სხვა კანონმდებლობა, რომელიც ეხება საზოგადოების ხელთ არსებულ ინფორმაციას, უნდა დაექვემდებაროს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობაში ჩამოთვლილ პრინციპებს.

გამონაკლისების რეჟიმი, რომელსაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობა, უნდა იყოს ამომწურავი და სხვა კანონებით არ უნდა ხდებოდეს მათი გავრცელება. კერძოდ, სახელმწიფო საიდუმლოების კანონმა არ უნდა ჩათვალოს არაკანონიერად ოფიციალური პირების მიერ იმ ინფორმაციის გამოაშკარავება, რომლის დაფარვასაც მათ ავალდებულებთ ინფორმაციის თავისუფლების კანონი. მთლიანობაში კი, გრძელვადიანი მიზანი ამ კანონების ჰარმონიზაცია უნდა იყოს.

ის ოფიციალური პირები, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლების კანონის მოთხოვნით ამჟღავნებენ ინფორმაციას, სანქციისგან იმ შემთხვევებშიც კი უნდა იყვნენ დაცული, თუ ეს ინფორმაცია არ ექვემდებარება ღიაობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიციალური პირები ზედმეტ სიფრთხილეს გამოიჩენენ, რათა თავიდან აიცილონ რისკი, ამით კი ხელი შეეწყოს მთავრობაში “საიდუმლოს კულტურის” აყვავებას.

პრინციპი 9. „მამხილებელთა“ დაცვა

ინდივიდები, რომლებიც ამხილებენ დანაშაულებრივ ქმედებას, უნდა იყვნენ დაცული სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სამსახურებრივი სანქციებისგან.

ინდივიდები, რომლებიც ამხილენ დანაშაულებრივ ქმედებას, უნდა იყვნენ დაცული სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სამსახურებრივი სანქციებისგან.

“დანაშაული” ამ შემთხვევაში გულისხმობს მთელ რიგ კრიმინალურ ქმედებებს, რომელშიც შედის კანონიერი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა, მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანა, კორუფცია და მექრთამეობა, ან სერიოზული დარღვევა საჯარო დაწესებულების მართვაში. მასში ასევე შედის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვისადმი შექმნილი სერიოზული საფრთხე. “მამხილებელმა” უნდა ისარგებლოს დაცვით ვინაიდან მისი ქმედება ემსახურებოდა კეთილ მიზნებს. დაცვას უნდა მივმართოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ინფორმაციის გამჟღავნება არღვევს კანონიერ მოთხოვნებს.


ზოგიერთ ქვეყანაში “მამხილებლის” დაცვა პირობითია და მისი გამოყენება დამოკიდებულია იმაზე თუ ვის მიენოდება ეს ინფორმაცია. თუკი საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას, დაცვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ინდივიდების, ისე მედიისთვის.

“საზოგადოებრივი ინტერესი” ამ კონტექსტში გულისხმობს სიტუაციას, როცა ინფორმაციის გავრცელებას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ზიანი; ან მაშინ, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია მთავარი ინტერესის დასაცავად. მამხილებელთა დაცვას უნდა მივმართოთ იმ სიტუაციებში, როდესაც მათ სჭირდებათ შურისძიებისგან დაცვა, ფორმალური მექანიზმი კი ამ შემთხვევაში უძლურია. მამხილებლის ქმედება გამართლებულია, მაშინ როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებისთვის ისეთი სერიოზული მიზეზები არსებობს, როგორც არის საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რისკი; ან არსებობს რისკი, რომ დანაშაულის სამხილი სხვა შემთხვევაში დაიმალება ან განადგურდება.



სილისწამება

აზრის გამოხატვის თავისუფლებისა
და ჯგუფობის დაცვის პრინციპები



შესავალი

ქვემოთ მოცემული პრინციპები განსაზღვრავს გამომხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებით დარეგულირებულ ისეთ მიმართულებას, როგორცაა ცილისწამება და პიროვნების რეპუტაციის დაცვა. რეპუტაციის დაცვის აუცილებლობა მრავალი საერთაშორისო ნორმით არის აღიარებული. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გამომხატვის თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ ორ ცნებას შორის წონასწორობის დაცვა წარმოადგენს ქვემოთ მოცემული პრინციპების ძირითად ამოსავალ წერტილს¹.

ეს პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს და ითვალისწინებს ეროვნულ გამოცდილებას (ეროვნული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა), ასევე საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებს. პრინციპები არის კვლევის, ანალიზისა და კონსულტაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგი, ეროვნული და საერთაშორისო სემინარების ჩათვლით, რომელსაც დეტალურად თვალს ადევნებდა ორგანიზაცია **ARTICLE 19**². ამ პროცესის დამაგვირგვინებელ სტადიად იქცა 2000 წელს (29 თებერვალი-1 მარტი) ლონდონში ჩატარებული სემინარი ცილისწამების კანონმდებლობის თაობაზე და ფართო კონსულტაციები, რაც ამ სემინარზე შემუშავებულ პროექტზე გაიმართა.

¹ აღნიშნული ნორმები არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, უზრუნველყოს აზრის გამომხატვის თავისუფლების უფრო ძლიერი დაცვა, ვიდრე ეს ამ ნორმებითაა ჩამოყალიბებული.

² იგულისხმება შეხვედრები ცილისწამების კანონმდებლობისა და აზრის გამომხატვის თავისუფლების შესახებ, რომლებიც შესულია დოკუმენტში სახელწოდებით "Ota Platform of Action on Media Law Reform in Nigeria". იგი მიღებული იქნა მედიის კანონის რეფორმებისთვის მიძღვნილ სემინარზე ოტაში, ნიგერია, 1999წ. 16-18 მარტს და დეკლარაცია აზრის გამომხატვის თავისუფლებისა და ცილისწამების თაობაზე, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო კოლოკვიუმზე 1999წ-ის 15-17 სექტემბერს, კოლომბოში, შრი-ლანკა.

ამ პრინციპების მიზანი შემოიფარგლება სათანადო ბალანსის დადგენაში აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის შელახვას შორის³. რეპუტაციაში იგულისხმება პატივისცემისა და აღიარების გამოხატულება, რომლითაც პირი განსაზღვრულ საზოგადოებაში სარგებლობს. ეს პრინციპები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც იმ შეზღუდვების აკრძალვა ან სანქცირება, რომლებიც მოწოდებულია დაიცვას სხვა ინტერესები, პირადი საიდუმლოებისა და პირადი ღირსების ჩათვლით.

³ ნებისმიერი კანონი, რომელიც ადგენს ბალანსს რეპუტაციასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, განიხილება, როგორც კანონი ცილისწამების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კანონს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ. მათ შორის: კანონი ცილისწამების შესახებ, კანონი შეურაცხყოფის შესახებ კანონი პატივისა და ღირსების შელახვის შესახებ და ა.შ.

პრეამბულა

გაეროს ქარტიით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, რომელთა გავრცობა მოხდა ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში, ადამიანთა თანასწორობისა და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი.

აზრის გამოხატვის თავისუფლებას და ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებას, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ თემებზე ღია დებატების ჩათვლით, მაშინაც კი, როდესაც იგი ინდივიდთა კრიტიკას შეიცავს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში როგორც პიროვნული განვითარებისა და ინდივიდთა ღირსების დაცვის, ისე საზოგადოებრივი პროგრესისა და კეთილდღეობის, ადამიანის სხვა უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა უზრუნველყოფისათვის.

პრინციპების მიღებისას გათვალისწინებული იქნა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკის ქარტიის, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ეროვნული კონვენციის, ასევე ეროვნული კონსტიტუციების ძირითადი დებულებები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონიერების უზრუნველყოფისათვის ფუნდამენტურ აუცილებლობას წარმოადგენს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა, ასევე მოსამართლეთა უწყვეტი ტრენინგები ადამიანის უფლებათა, განსაკუთრებით კი, აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროში.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნებისთვის მისი რეპუტაციის დაცვის საკითხი, განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს

რეპუტაციის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფა. ფართოდ არის გავრცელებული ცილისწამების შესახებ ისეთი კანონები, რომლებიც უსამართლოდ ზღუდავს დებატებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე თემებზე. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ასეთი კანონების არსებობას ამართლებენ, როგორც რეპუტაციის დაცვის აუცილებლობას, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები ამგვარ კანონებს ხშირად ბოროტად, არაკანონიერი მიზნებისთვის იყენებენ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით კი იმ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომელსაც ხელისუფლების ორგანოები ფლობენ, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ცრუ პუბლიკაციები და პოტენციურად ცილისმწამებლური განცხადებები.

მასმედიას უდიდესი როლი ეკისრება საზოგადოების უფლების უზრუნველყოფაში – მიიღოს ინფორმაცია, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემებზე დებატების გამართვასა და მთავრობის ერთგვარი მაკონტროლებლის ფუნქციის განხორციელებაში.

განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს მედიაში ისეთი თვითრეგულირებადი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რეპუტაციის ეფექტური დაცვის საშუალებებს და ამავე დროს უსამართლოდ არ შეზღუდავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

აღნიშნული პრინციპების სულისკვეთება მდგომარეობს სათანადო ბალანსის დადგენაში აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის დაცვის აუცილებლობას შორის. ჩვენ⁴ რეკომენდაციას ვუწვევთ სათანადო ორგანოებს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რათა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყონ აღნიშნულ პრინციპთა ფართოდ გავრცელებას, მიღებას და ცხოვრებაში გატარებას.

⁴ "ჩვენ"-ში ივლისსხმება ლონდონის სემინარის მონაწილენი.

ნაწილი 1. ზოგადი დებულებები

1. აზრის, მისი გამოსატვისა და ინფორმაციის თავისუფლება:

- ა) ყველას აქვს უფლება, გააჩნდეს საკუთარი მოსაზრებები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;
- ბ) ყველას აქვს უფლება აზრის გამოსატვის თავისუფლებაზე, რომელიც მოიცავს პირის უფლებას, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია თუ მოსაზრებები როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითი და ბეჭდვითი ფორმით, როგორც ხელოვნების და მასმედიის, ისე გამოსატვის სხვა საშუალებათა გამოყენებით;
- გ) ბ. პუნქტით განმტკიცებული უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სპეციფიკური გარემოებების არსებობისას, მათ შორის სხვათა რეპუტაციის დაცვის მიზნით;
- დ) ყველას, ვისაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხო შეზღუდვა აზრის გამოსატვის თავისუფლებაზე, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დასვას აღნიშნული შეზღუდვის კანონიერების საკითხი დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოსა თუ ტრიბუნალის წინაშე;
- ე) აზრის გამოსატვის თავისუფლებაზე შეზღუდვის დანესებისას აუცილებელია ადეკვატური ზომების მიღება, რათა არ მოხდეს მისი ბოროტად გამოყენება, რაც მოიცავს დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოსადმი თუ ტრიბუნალისადმი მიმართვის უფლებას, როგორც კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფის ძირითად ასპექტს.

1.1. კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა

აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. კანონი უნდა იყოს მკაფიო, არაორაზროვანი და დეტალურად გადმოცემული, რათა ინდივიდს მიეცეს შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვროს, თუ რამდენად კანონიერი იქნება მისი ესა თუ ის ქმედება.

1.2. რეპუტაციის ლეგიტიმური დაცვა

რეპუტაციის დაცვის ნიადაგზე აზრის გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა კანონიერია მხოლოდ მაშინ, თუ მის რეალურ მიზანს წარმოადგენს ლეგიტიმური რეპუტაციის დაცვის ინტერესი⁵.

1.3. აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

დაუშვებელია აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა, მათ შორის სხვათა რეპუტაციის დაცვის მიზნით, თუ იგი არ წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

კერძოდ, შეზღუდვა დაუშვებელია:

- I. იმ საბაზით, რომ არ არსებობს რეპუტაციის დაცვის სხვა, უფრო ეფექტური საშუალება;
- II. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა არღვევს პროპორციას, კერძოდ თუ რეპუტაციის დაცვით გადარჩენილი სიკეთე ვერ ფარავს აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.

პირველი პრინციპის კომენტარი

მოცემული პრინციპი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებში არსებულ დებულებებს გამოხატვის თავისუფლების შესახებ. აქ ასევე გათვალისწინებულია “SIRACUSA“-ს პრინციპები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის შესახებ.

⁵ იხ. მე-2 ნორმა

2. ცილისწამების შესახებ კანონის ლეგიტიმური მიზანი.

- ა) კანონი ცილისწამების შესახებ მისაღებია მხოლოდ მაშინ, თუკი მის რეალურ მიზანს ან მტკიცებად შედეგს წარმოადგენს ინდივიდთა – ანუ იმ პირების, რომელთაც სასამართლოსათვის მიმართვის უფლება გააჩნიათ – რეპუტაციის დაცვა შელახვისაგან, მათ მიმართ საზოგადოების მხრიდან დაცინვისა თუ ზიზლის გამონევის, ასევე მათი საზოგადოებისგან გარიყვის გზით;
- ბ) დაუშვებელია ცილისწამების შესახებ ისეთი კანონის მიღება, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს ისეთ ინდივიდთა რეპუტაციის დაცვა, რომელთაც საზოგადოებაში ასეთი არ გააჩნიათ. ასევე იმ ორგანოთა რეპუტაციის დაცვა, რომელთაც არა აქვთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. უფრო კონკრეტულად, დაუშვებელია ისეთი კანონი ცილისწამების შესახებ, რომელიც ზღუდავს:
- I. თანამდებობის პირთა მიმართ ლეგიტიმურ კრიტიკას ან მათი მხილების შესაძლებლობას კორუფციის ან კანონმდებლობის წებისმიერი დარღვევის დროს;
 - II. ისეთი სუბიექტების რეპუტაციის დაცვა, როგორცაა: სახელმწიფო თუ რელიგიური სიმბოლიკა, დროშები, ასევე ეროვნული სიმბოლიკები;
 - III. სახელმწიფოსა თუ ერის, როგორც ასეთის, რეპუტაციის დაცვა;
 - IV. პირთათვის იმ უფლების მინიჭება, რომლის საფუძველზეც მათ შეუძლიათ იჩივონ სასამართლოში გარდაცვლილთა სახელით;
 - V. ინდივიდთა აღჭურვა უფლებით, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, იჩივონ სასამართლოში იმ ჯგუფის სახელით, რომელსაც, თავის მხრივ, არა აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.
- გ) დაუშვებელია ცილისწამების შესახებ კანონის მიღება იმ საფუძველით, რომ იგი ემსახურება არა რეპუტაციის, არამედ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინტერესების დაცვას. კერძოდ, დაუშვებელია ცილისწამების შესახებ კანონის მიღება ამ მოტივით, რომ იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ასევე ეროვნული

უსაფრთხოების დაცვასა თუ ქვეყანათაშორის მეგობრული ურთიერთობების უზრუნველყოფას.

მეორე პრინციპის კომენტარი

ცილისწამების შესახებ კანონის ერთადერთი ლეგიტიმური მიზანი რეპუტაციის დაცვაა. ამავე დროს, მრავალი ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არცთუ იშვიათად ხდება კანონთა ბოროტად გამოყენება ღია საზოგადოებრივი დებატებისა და თანამდებობის პირთა ლეგიტიმური კრიტიკის აღკვეთის მიზნით. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსაზღვრული ობიექტების, მათ შორის ეროვნული და რელიგიური სიმბოლიკის ღირსების დაცვა. ეს კანონები არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, ვინაიდან ობიექტს, როგორც ასეთს, არ შეიძლება ჰქონდეს რეპუტაცია.

რეპუტაციის არაკანონიერი ხელყოფით გამოწვეული ზიანი თავისი ბუნებით ყოველთვის პირდაპირი და პერსონალურია. საკუთრებისგან განსხვავებით რეპუტაციის ინტერესი არ გადადის მემკვიდრეობით. ის ინტერესი, რომელიც გარდაცვლილის რეპუტაციასთან დაკავშირებით აქვთ მის ცოცხალ ნათესავებს, ფუნდამენტურად განსხვავდება ცოცხალი პირის ინტერესისგან, რომელიც დაკავშირებულია მისსავე რეპუტაციასთან. გარდა ამისა, გარდაცვლილი პირის რეპუტაციის შელახვისთვის, მისი ნათესავებისთვის სასამართლოში ჩივილის უფლების მინიჭება შექმნის ამ უფლების ბოროტად გამოყენების პირდაპირ საფუძველს და ფაქტობრივად აღკვეთს თავისუფალ და ღია დებატებს ისტორიულ ფაქტებზე.

ჯგუფებს, რომელთაც რაიმე იურიდიული სტატუსი არა აქვთ, არ შეიძლება ჰქონდეთ ინდივიდუალური რეპუტაცია. ყოვლად მიუღებელია ცილისწამების შესახებ ისეთი კანონების არსებობა, რომლებიც დაიცავს აღნიშნულ ჯგუფთა რეპუტაციას. მეორე პრინციპი მოიცავს ორივე ტიპის შემთხვევას – როგორც მთელი ჯგუფის, ისე მისი ცალკეული წევრების მხრიდან გამოთქმულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებიც თვლიან, რომ მათი, როგორც ჯგუფის წევრების რეპუტაცია, არაპირდაპირი გზით იქნა შელახული. ჯგუფის ინდივიდუალურ წევრებს მხოლოდ მაშინ აქვთ სასამართლოში ჩივილის უფლება, თუ ისინი შეძლებენ დაამტკიცონ, რომ მათი პერსონალურად განსაზღვრული რეპუტაცია პირდაპირი გზით იქნა შელახული.

ზოგიერთ ქვეყანაში ცილისწამების შესახებ კანონების (ძირითადად სისხლის სამართლებრივი ბუნების) არსებობას იმით ამართლებენ, რომ მათი მეშვეობით ხორციელდება არა სხვათა რეპუტაციის, არამედ ისეთი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგი, ეროვნული უსაფრთხოება და სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება. ეს კანონები ენიშნაღმდეგება 1.3. პრინციპში ჩამოყალიბებულ წესს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვის გამოყენების შესახებ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ინტერესების დაცვა არ წარმოადგენს ცილისწამების შესახებ კანონის ლეგიტიმურ მიზანს. ამ ინტერესების დაცვა სპეციალურად ამ მიზნისთვის შემუშავებული კანონების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

3. სახელმწიფო ორგანოთა ცილისწამება

აკრძალულ უნდა იქნას ცილისწამების შესახებ სარჩელის შეტანა სახელმწიფო ორგანოთა, კერძოდ კი იმ ორგანოთა მიერ, რომლებიც წარმოადგენენ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების შტოებს, ან სხვაგვარად ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციებს.

მესამე პრინციპის კომენტარი

მრავალ ქვეყანაში უმაღლესმა სასამართლოებმა შეზღუდეს არჩევითი ორგანოების, სახელმწიფოს კუთვნილი კორპორაციების და თვით პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობა, განახორციელონ ცილისწამებლური მოქმედებები. ამის აუცილებლობა გამომდინარეობს იმ გადამწყვეტი მნიშვნელობიდან, რომელიც დემოკრატიისთვის გააჩნია მთავრობისა და სახელმწიფო ორგანოთა ღია კრიტიკას, მათი რეპუტაციის შეზღუდულ და საზოგადოებრივ ბუნებას და იმ საკმარის საშუალებებს, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს გააჩნიათ კრიტიკისგან თავის დასაცავად.

ნაწილი 2. ცილისწამების სისხლისსამართლებრივი რეგულირება

4. დანაშაულებრივი ცილისწამება

- ა) ცილისწამების შესახებ ყველა სისხლის სამართლებრივი კანონი გაუქმებული, ხოლო სადაც საჭიროა, შეცვლილ უნდა იქნას სამოქალაქო სამართლებრივი კანონით. აუცილებელია ამ პრინციპის დანერგვა იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლებრივი კანონები;
- ბ) იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომ ბევრ ქვეყანაში ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლებრივი კანონები უკანონო ხელყოფისგან რეპუტაციის დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა ყველა ეს კანონი შესაბამისობაში მოვიდეს შემდეგ მოთხოვნებთან:
1. დაუშვებელია ვინმეს დასჯა ცილისწამებისათვის, თუ მხარე, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს, ვერ შეძლებს, ისეთი სტანდარტით დაამტკიცოს დანაშაულის ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტის არსებობა, რაც გონივრული ეჭვის მიღმა დგას;
 2. ცილისწამებას, როგორც დანაშაულს, მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუკი დამტკიცდება, რომ გასაჩივრებული განცხადებები ტყუილია, რაც განმცხადებელმა ან იცოდა, ან არ იცოდა, იყო თუ არა ეს განცხადებები ცრუ და თუ ეს განცხადებები მიზნად ისახავდა ზიანი მიდგომოდა მხარეს, რომელიც თავს დაზარალებულად მიიჩნევს;
 3. დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოთა, მათ შორის პოლიციის და სახელმწიფო ბრალმძებელთა მხრიდან საქმის ინიცირება სასამართლოში, ან დევნის დაწყება ცილისწამების საქმეებზე,

მიუხედავად დაზარალებული მხარის სტატუსისა, მაშინაც კი თუ იგი უმაღლესი თანამდებობის პირია;

4. ცილისწამების შემთხვევაში, რაც უნდა აღმამფოთებელი იყოს იგი, დაუშვებელია სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, ჟურნალისტური თუ სხვა საქმიანობის უფლების შეჩერება ან სხვა ზღვარგადასული და მკაცრი სასჯელები.

მეორე პრინციპის კომენტარი

განსაზღვრული ქვეყნის კრიმინალიზაციისას ნათელია სახელმწიფოს ინტერესი, გააკონტროლოს აღნიშნული ქმედება და მიანიჭოს მას გარკვეული დამახასიათებელი ნიშანი. ამის გათვალისწინებით საერთაშორისო სასამართლოებმა ხაზი გაუსვეს, რომ ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის დროს მთავრობებმა სისხლის სამართლებრივი საშუალებები ზომიერად უნდა გამოიყენონ. მრავალ ქვეყანაში რეპუტაციის დაცვა ითვლება კერძო ინტერესად და, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ცილისწამებლური განცხადებების კრიმინალიზაცია სრულიად ზედმეტი რეპუტაციის სათანადო დაცვისთვის.

ბევრ ქვეყანაში ცილისწამების სისხლის სამართლებრივი კანონები ბოროტად არის გამოყენებული და მათი საშუალებით ხდება „ძლიერის“ მიერ კრიტიკის შეზღუდვა და ღია საზოგადოებრივი დებატების აღკვეთა. მკაცრი სასჯელის, განსაკუთრებით, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების საშიშროება დამთრგუნველ ეფექტს ახდენს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. ასეთი სანქციები ყოველმხრივ გაუმართლებელია როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის სფეროში, ვინაიდან იგი არ განიხილება რეპუტაციის შელახვის გამო მიყენებული ზიანის ადეკვატურად.

ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ცილისწამების შესახებ სისხლის სამართლებრივი კანონები ბოროტად იქნება გამოყენებული. აქ იგულისხმება ისეთი ქვეყნებიც, სადაც ასეთი კანონების გამოყენების შესაძლებლობა გარკვეულ გონივრულ ჩარჩოებშია მოქცეული. ყოველივე ზემოთქმულის გამო ცილისწამების სისხლის სამართლებრივი კანონები უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს. ამავე დროს, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მრავალ ქვეყანაში ცილისწამების სისხლის სამართლებრივი კანონები კვლავ რჩება

უკანონო ხელყოფისაგან რეპუტაციის დაცვის მთავარ საშუალებად. იმისათვის, რომ პრაქტიკაში რაც შეიძლება შემცირდეს ცილისწამების კანონების ბოროტად გამოყენება და აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე უკანონო შეზღუდვების დანესება, აუცილებელია დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები, რათა ეს კანონები შესაბამისობაში მოვიდეს იმ მოთხოვნებთან, რომელიც განმტკიცებულია მე-4 პრინციპის (ბ) პუნქტში.

სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპი – უდანაშაულობის პრეზუმფცია – მოსარჩელისგან დანაშაულის ყველა ძირითადი ელემენტის დამტკიცებას მოითხოვს.

ცილისწამებასთან მიმართებაში ამ პრინციპის გამოყენება ორ ძირითად სტანდარტზე დაფუძნებით ხდება. ეს სტანდარტებია განცხადების მცდარობა და განცხადებაში არსებული შეუსაბამობის სიცხადე. სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა, როდესაც სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება ხდება პირადი რეპუტაციის შელახვის ფაქტის გამოვლენის მიზნით, წარმოადგენს მესამე პრინციპის რეგულირების სფეროს. მე-4 პრინციპის მიხედვით დაკისრებული სანქციები არ უნდა იყოს არაპროპორციული დამდგარი ზიანისა და ამასთანავე არ უნდა ქმნიდეს მომავალში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საშიშროებას.

ნაწილი 3. ცილისნამების სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება

5. პროცედურა

- ა) ცილისნამების თაობაზე სარჩელის შეტანის ვადა, განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდან;
- ბ) სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს პროცესის ყველა სტადიის ჩატარება გონივრულ ვადაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ის ნეგატიური ზეგავლენა, რასაც აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ახდენს პროცესის უსაშველოდ განელვა. ამავე დროს, დაუშვებელია საქმეთა წარმოება ისეთ შემოკლებულ ვადებში, რომ მოპასუხეს არ მიეცეს დაცვის სათანადო მომზადების საშუალება.

მეხუთე პრინციპის კომენტარი

იმის დაშვება, რომ ცილისნამებზე სარჩელის შეტანა შეიძლება მას შემდეგ, რაც განცხადების ფართოდ გავრცელებიდან დიდი დრო გავიდა, ფაქტობრივად ანგრევს გავრცელების პროცესში მონაწილე პირთა შესაძლებლობას, მოამზადონ სათანადო დაცვა. უსამართლოდ განელილი საქმეები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოპასუხის აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე, ისევე, როგორც მოსარჩელის შესაძლებლობაზე, მიიღოს მიყენებული ზიანის ადეკვატური ანაზღაურება. ამავე დროს, ზოგიერთ ქვეყანაში ცილისნამების საქმეების განხილვისთვის დროის ზედმეტად მცირე ლიმიტია დაწესებული, რაც ნიშნავს, რომ მოპასუხეს არა აქვს საკმარისი დრო, მოამზადოს დაცვა. აღნიშნული პრობლემა შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის ინფორმაცია კონფიდენციალურ წყაროს ეყრდნობა, რომლის დასახელებაც მას არ სურს.

6. ინფორმაციის წყაროს დაცვა

ჟურნალისტებსა და სხვა პირებს, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, აზრის გამოხატვის თავისუფლება უფლებას აძლევს, უარი თქვან კონფიდენციალურ წყაროთა დასახელებაზე. მე-6 პრინციპი მხოლოდ და მხოლოდ ცილისწამების კონტექსტში ეხმაურება ამ უფლებას. პირები, რომლებიც უარს აცხადებენ კონფიდენციალურ წყაროთა დასახელებაზე, ინარჩუნებენ შესაძლებლობას, სასამართლოში წარადგინონ მტკიცებულებები, რომ ამგვარი წყაროები ნამდვილად არსებობენ. თუ რამდენად წონადია აღნიშნული მტკიცებულებები, ამის განსაზღვრა უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.

მეექვსე პრინციპის კომენტარი

საზოგადოდ აღიარებულია, რომ გამოხატვის თავისუფლება ჟურნალისტებს და ყველა იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით ავრცელებს ინფორმაციას, უფლებას აძლევთ საიდუმლოდ შეინახონ ინფორმაციის წყაროს ვინაობა. ეს პრინციპი გამოიყენება ცილისწამების საქმეთა განხილვის დროსაც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი უარს ამბობს ინფორმაციის წყაროს გამხელაზე, მას კვლავაც უნარჩუნდება უფლება სასამართლოს წინაშე წარადგინოს მტკიცებულებები. შემდგომ უკვე სასამართლოს გადასაწყვეტია მიანიჭოს თუ არა მტკიცებულებებს იურიდიული ძალა.

7. სიმართლის მტკიცება

- ა) თუკი დამტკიცდება, რომ გასაჩივრებული განცხადება სიმართლეს შეეფერება, მოპასუხე თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან⁷;
- ბ) თუ გასაჩივრებული განცხადება ეხება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს⁸, მაშინ სწორედ მოსარჩელეს ეკისრება აღნიშნული განცხადების მცდარობისა და ცილისმწამებლური ხასიათის მტკიცების ტვირთი;

⁷ იხ. IX ნორმა.

⁸ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს მიეკუთვნება ყველა ის სფერო, რომლებშიც აშკარად არის გამოხატული საზოგადოებრივი ინტერესი. აღნიშნული მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) – ხელისუფლების სამივე შტოს, განსაკუთრებით საჯარო და თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ საკითხებს, პოლიტიკას, საზოგადოების ჯანდაცვასა და უსაფრთხოებას, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სისტემებს, მომხმარებელთა და სოციალურ ინტერესებს, გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ საკითხებს, სამხედრო ძალის გამოყენებას, ხელოვნებასა და კულტურას. ამ ჩამონათვალში არ შედის ის უკიდურესად პირადული საკითხები, რომელთა მიმართაც ინტერესი საზოგადოების წევრებს შეიძლება გაუჩნდეთ მხოლოდ სენსაციების თუ უხამსი მისწრაფებების თვალსაზრისიდან გამომდინარე.

გ) დაუშვებელია მოპასუხისათვის ისეთი შეზღუდვების დაწესება, რაც ხელს შეუშლის მას, დაამტკიცოს საკუთარი განცხადებების სისწორე.

მეზვიადე პრინციპის კომენტარი

პრინციპის პირველი ნაწილი აღიარებული იქნა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით. იგი გამომდინარეობს იმ ბაზისური პრინციპებიდან, რომ სწორი ინფორმაციის გავრცელება არ უნდა გახდეს სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველი მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცას არ შეუძლია საკუთარი რეპუტაციის დაცვა, ან ვილაცა შედარებით ნაკლებად იმსახურებს შესაბამის განცხადებას.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ პრინციპებს არა აქვთ პრეტენზია, დაარეგულირონ ქცევის წესები სხვა, მათ შორის პირადი საიდუმლოების დაცვის სფეროში. ზოგიერთ ქვეყანაში პირადი საიდუმლოების შესახებ კანონები ზღუდავს ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც პირის ნასამართლობას ეხება.

პრინციპის ბ. პუნქტი ეხმიანება იმ ტრადიციულ წესს, რომელიც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობითაა განმტკიცებული და რომლის მიხედვითაც ცილისწამების საქმეების წარმოებისას მოქმედებს განცხადების მცდარობის პრეზუმფცია და მისი სისწორის მტკიცებულების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს.

როცა საქმე შეეხება ცალკეულ კონსტიტუციურ თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე გაკეთებულ განცხადებებს, ზემოთ აღნიშნული წესი გაუმართლებელ ტვირთს აკისრებს მოპასუხეს, იმდენად რამდენადაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით გაუმართლებლად არის შეზღუდული მოპასუხეთა შეასაძლებლობა, ამტკიცონ საკუთარი განცხადებების სისწორე. პროცესზე დამარცხებულ მოპასუხეს შესაძლებელია დაეკისროს დამატებითი ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმიტომ, რომ წარუმატებლად ცდილობდა თავისი განცხადებების სისწორის დამტკიცებას მაშინ, როდესაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ამის გაკეთება. ამ წესის გამო მოპასუხემ, იმის შიშით, რომ მტკიცებულებები არ იქნება საკმარისი პროცესის მოსაგებად, შესაძლოა შეიკავოს თავი მტკიცებულებათა წარდგენისაგან იმ შემთხვევაშიც, თუ მისი განცხადება სიმართლეს შეეფერება. აღნიშნულის მსგავსად, ნებისმიერი წესი,

რომელიც კრძალავს ზოგადად მისაღები მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარდგენას, ფაქტობრივად მოპასუხეს ართმევს შესაძლებლობას, დაამტკიცოს თავისი განცხადებების სისწორე. ამ აკრძალვის მაგალითს წარმოადგენს უარი იმ მტკიცებულებათა წარდგენაზე, რომლებიც მოსარჩელის წარსულ მსჯავრდებას, თუ სხვა ისტორიულ ფაქტებს შეეხება.

8. თანამდებობის პირები

დაუშვებელია, ცილისწამების კანონით უზრუნველყოფილი იქნას თანამდებობის პირთა რაიმე სპეციალური დაცვა, მიუხედავად მათი რანგისა და სტატუსისა. იგულისხმება როგორც საჩივრების მიღებისა და საქმის წარმოების წესი, ისე ის სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც ხდება მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა და სასჯელები, რომლებიც შეიძლება დაკისრებულ იქნას.

მირვი პრინციპის კომენტარი

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით თანამდებობის პირები სარგებლობენ დაცვის უფრო ფართო საშუალებებით, ვიდრე რიგითი მოქალაქეები, რაც ეწინააღმდეგება მე-8 პრინციპს. აღნიშნული უპირატესობა მოიცავს: სახელმწიფოს მხრიდან დახმარების განევას ცილისწამების საქმეთა სასამართლო წარმოებაში, თანამდებობის პირთა რეპუტაციის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტებს და უფრო მკაცრ სასჯელებს იმ პირთათვის, ვინც მათ ცილს დასწამებენ. საერთაშორისო სამართალი ნათლად აღიარებს, რომ სწორედ თანამდებობის პირები არიან ვალდებული, იყვნენ უფრო ტოლერანტულნი კრიტიკის მიმართ, ვიდრე სხვები.

9. დასაბუთებული პუბლიკაცია

საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე გაკეთებული დასაბუთებული პუბლიკაციის ავტორს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდა პუბლიკაციის სიმცდარე. ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ მოპასუხეს საკმარისად დასაბუთებული საფუძველი ჰქონდა მასალის გავრცელებისათვის. დასაბუთებულობის საკითხის გარკვევისას სასამართლომ მხედველობაში უნდა

მიიღოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და საზოგადოების უფლება, დროულად მიიღოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფორმაცია.

მეცხრე პრინციპის კომენტარი

სულ უფრო მეტი ქვეყნის კანონმდებლობა აღიარებს “დასაბუთებულობას”, როგორც ზემოთაღნიშნული დაცვის საფუძველს იმ ტრადიციული წესის სანინალმდეგოდ, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას როგორც ცრუ, ისე იმ განცხადებათა გავრცელებისთვის, რომელთა სიზუსტის დამტკიცება მოპასუხეს არ შეუძლია. ეს წესი განსაკუთრებით უსამართლოა მედიასთან მიმართებაში, რომელსაც აკისრია საზოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ვალდებულება, რის გამოც იგი ხშირად მანამ აქვეყნებს ან გადასცემს ინფორმაციას, სანამ ფაქტის სისწორე საბოლოოდ დაზუსტდება. ყველაზე გამოცდილი ჟურნალისტებიც კი უშვებენ შეცდომებს. ყოველი ცრუ განცხადებისთვის მათი დასჯა ფაქტობრივად შეუძლებელს გახდის საზოგადოებისათვის დროული ინფორმაციის მიწოდებას. საუკეთესო ბალანსს აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის დაცვას შორის წარმოადგენს იმ პირთა დაცვა, რომლებიც მოქმედებდნენ გონივრულ საფუძველზე დაყრდნობით და იმ პირთა მიმართ სასამართლოში საქმის წარმოება, რომლებიც ასე არ მოქმედებდნენ. მედიისათვის “დასაბუთებულობის” ტესტის წარმატებით ჩაბარებად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოდ მიღებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისი მოქმედება.

10. აზრის გამოხატვა

- ა) დაუშვებელია, საკუთარი აზრის გამოხატვისთვის პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამების შესახებ კანონის საფუძველზე;
- ბ) მოსაზრებაში იგულისხმება განცხადება, რომელიც:
 - 1. არ შეიცავს ფაქტებზე დაფუძნებულ ქვეტექსტს;
 - 2. არ შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას, როგორც გარკვეული ფაქტების მტკიცება სხვადასხვა, მათ შორის გამოყენებული ლექსიკიდან (რიტორიკა, ჰიპერბოლა, სატირა და ა.შ.) გამომდინარე.

მეათე პრინციპის კომენტარი

ცილისწამების საქმეებზე აზრის გამოხატვასთან დაკავშირებით (რომელიც სუბიექტურ შეფასებას მიეკუთვნება) გამოსაყენებელი სტანდარტი ჯერ კიდევ ევოლუციას განიცდის, მაგრამ დღესათვის ნათელია, რომ მისი დაცვა აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, მოსაზრება სარგებლობს აბსოლუტური დაცვით, აზრის ქონის აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე. სწორედ მოსაზრებათა ხასიათის განსაზღვრის უადრესად სუბიექტური ბუნება მოითხოვს მათი აბსოლუტური დაცვის უზრუნველყოფას.

განსაზღვრული განცხადებები ერთი შეხედვით შეიძლება ფაქტების მტკიცების ხასიათს ატარებდეს, მაგრამ გამოყენებული ლექსიკიდან თუ კონტექსტიდან გამომდინარე გონივრული არ იქნებოდა მათი ასეთად განხილვა. რიტორიკა, ჰიპერბოლა, სატირა ამის ნათელი მაგალითებია. სწორედ აქედან გამომდინარეობს მოსაზრების ზუსტი დეფინიციის განსაზღვრის აუცილებლობა.

11. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

ა) განსაზღვრული ტიპის განცხადებები არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას ცილისწამების კანონის საფუძველზე. მათ მიეკუთვნება:

1. განცხადება, გაკეთებული საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის პროცესში, როგორც არჩეული დეპუტატების მიერ კომიტეტებსა და ღია დებატებში, ისე იმ პირთა მიერ, რომლებიც მონაშთა სტატუსით იყვნენ მინვრული კომიტეტებში ჩვენების მისაცემად;
2. განცხადება, გაკეთებული მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის პროცესში ამ ორგანოთა წევრების მიერ;
3. განცხადება, გაკეთებული სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, წინა სასამართლო სტადიის ჩათვლით, სამართალწარმოების მონაწილე პირთა (მოსამართლე, მხარეები, მონაშთი, ადვოკატი და ნაფიცი მსაჯული) მიერ;

4. განცხადება, გაკეთებული იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც გამოძიების, თანაც ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოკვლევის მანდატი გააჩნია;
 5. საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოსაქვეყნებელი დოკუმენტი;
 6. ობიექტური ინფორმაციის მიწოდება როგორც ამ პრინციპის 1-5 პუნქტებში აღნიშნული, ისე სხვა მასალების თაობაზე, რომელთა ოფიციალური სტატუსი მათი გავრცელების საფუძველს წარმოადგენს. მათ მიეკუთვნება: უცხოეთის სასამართლო ან საკანონმდებლო ორგანოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საჯარო წესით გამოცემული ოფიციალური დოკუმენტაცია.
- ბ) განსაზღვრული ტიპის განცხადებებისთვის პირი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ არ დამტკიცდება, რომ განცხადება გაკეთდა ბოროტი განზრახვით. ეს წესი მოიცავს იმ განცხადებებსაც, რომლებიც გაკეთდა გარკვეული სამართლებრივი, მორალური, სოციალური ინტერესისა თუ მოვალეობის შესრულებისას.

მეთერთმეტი პრინციპის კომენტარი

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ადამიანებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოხატონ თავისი აზრი თავისუფლად, ყოველგვარი შიშის გარეშე, რომ მათ შეიძლება პასუხი აგებინონ სასამართლოს წინაშე იმისათვის, რაც განაცხადეს. ამ პრინციპის ა. პუნქტის 1-5 ნაწილებში მოყვანილი განცხადებებისთვის გამორიცხულია პასუხისმგებლობა ცილისწამების კანონის საფუძველზე. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაზეთებმა და მასმედიის სხვა საშუალებებმა სწორი და ობიექტური ინფორმაცია მიანოდონ საზოგადოებას ზემოთ აღნიშნული განცხადებებისა და დოკუმენტების, ასევე სხვა ოფიციალური მასალების თაობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ავტორები არ არიან დაცული პასუხისმგებლობისგან. სხვა შემთხვევებში, როცა პირს გააჩნდა გარკვეული ინტერესი ან განსაზღვრული გარემოებებიდან გამომდინარე ვალდებული იყო გაეკეთებინა ესა თუ ის განცხადება, იგი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ არ დამტკიცდება, რომ მას ბოროტი განზრახვა ჰქონდა. ამჟამად არსებობს აღნიშნული დაცვის უფრო ფართოდ ინტერპრეტირების საერთაშორისო ტენდენცია.

12. პასუხისმგებლობის ფარგლები

- ა) დაუშვებელია ცილისმნამების შესახებ კანონის საფუძველზე პირს პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ განცხადებისთვის, რომლის ავტორი, რედაქტორი და გამომცემელი იგი არ ყოფილა და ამავე დროს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა ეფიქრა, რომ ავრცელებდა ცილისმნამებლურ განცხადებას;
- ბ) ორგანიზაციებს, რომელთა ფუნქციაც გარკვეულ განცხადებებთან მიმართებაში ინტერნეტთან ტექნიკური კავშირით, ინტერნეტში ინფორმაციის გადატანითა და ვებ-გვერდის ან მისი ნაწილის შევსებით შემოიფარგლება, ცალკეული განცხადებებისთვის არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. აღნიშნულ ორგანიზაციებს შესაძლოა მოეთხოვოთ სათანადო ზომების მიღება განცხადების შემდგომი პუბლიკაციის აღსაკვეთად დროებითი ან მუდმივი სასამართლო აკრძალვის საფუძველზე, მე-15 და მე-17 პრინციპების შესაბამისად.

მეთორმეტი პრინციპის კომენტარი

ცილისმნამებლური განცხადებების გავრცელებაში შესაძლოა ადამიანთა ფართო წრე მონაწილეობდეს. პირებს (მედია-დისტრიბუტორები და საინფორმაციო აგენტები), რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა განცხადებების გაკეთებასა (წარმოებას) და გამოქვეყნებაში, ასევე არანაირი საფუძველი არ ჰქონდათ ეფიქრათ, რომ იგი ცილისმნამებლურია, არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა აღნიშნული განცხადებისთვის.

ბ. პუნქტში აღწერილი ორგანიზაციები (ინტერნეტ-სერვის-პროვაიდერები) მთელ რიგ ასპექტებში განსხვავდებიან გამომცემლებისგან. კერძოდ, არა აქვთ პირდაპირი და უშუალო კავშირი იმ განცხადებებთან, რომელთა გავრცელებასაც უწყობენ ხელს. აქედან გამომდინარე, ამ ორგანიზაციებისგან არ არის მოსალოდნელი, დაიცვან განცხადებების სისწორე იქ, სადაც პასუხისმგებლობის დაკისრების რისკი არსებობს. თუ მათ პასუხისმგებლობას გამომცემლების პასუხისმგებლობასთან გავათანაბრებთ, მათ მოუწევდათ გასაჩივრებული განცხადების დაუყოვნებლივ მოხსნა ინტერნეტიდან, მიუხედავად გასაჩივრების ლეგიტიმურობისა. ზოგიერთ ქვეყანაში ინტერნეტ-სერვის-პროვაიდერები მთლიანად არიან გათავისუფლებული პასუხისმგებლობისაგან ცილისმნამებლური განცხადებებისათვის, რათა აღკვეთილი იქნას ინტერნეტზე ცენზურის განხორციელება ზემოთაღნიშნული ხერხით.

ნაწილი 4. ზიანის ანაზღაურება

ნანამძღვრები

მიყენებულ ზიანთან დისპროპორციული ანაზღაურების ზომების გამოყენებამ შესაძლოა საკმაოდ შეზღუდოს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება. აზრის გამოხატვის თავისუფლება ძირითად კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს ანაზღაურების ზომების შერჩევისას.

13. ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობა

- ა) დაუშვებელია პირის ზიანის ანაზღაურება დაეკისროს იმ განცხადებისთვის, რომელიც ზემოთ მოყვანილი პრინციპების შესაბამისად არ იქნა ცნობილი ცილისმწამებლურად;
- ბ) ცილისმწამებლური განცხადებისთვის ანაზღაურების დაკისრების უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსარჩელის რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია და არა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის დასჯა;
- გ) ანაზღაურების ზომის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას სხვა ისეთი მექანიზმები, ნებაყოფლობითი თუ თვითრეგულირების სისტემების ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება ცილისმწამებით მიყენებული ზიანის შემსუბუქებისა თუ ანაზღაურების მიზნით. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს მოსარჩელის მიერ აღნიშნული მექანიზმების გამოყენების მცდელობის წარუმატებლობას.

მეცამეტე პრინციპის კომენტარი

დაუშვებელია, რომ კანონის საფუძველზე პირს დაეკისროს რაიმე მოქმედების შესრულება ან სხვა სახის ანაზღაურება, თუ მას სასამართლო, ზემოთ მოყვანილი პრინციპებიდან გამომდინარე, არ ცნობს პასუხისმგებლად ცილისწამების საქმეზე. მიუხედავად ასეთი რისკისა, ეს არ გულისხმობს, რომ გაზეთებმა და მასმედიის სხვა საშუალებებმა ნებაყოფლობით განახორციელონ თვითცენზურა, რათა თავიდან აირიდონ რეპუტაციის შელახვისა და ცილისწამებლური მასალების გამოქვეყნების საფრთხე.

აზრის გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნებიდან გამომდინარე ცილისწამებისთვის დაკისრებული ანაზღაურება არ უნდა გასცდეს პირის რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ფარგლებს. სხვა ნებისმიერი მიზნისათვის მისი გამოყენება დამორგუნველ ეფექტს მოახდენდა აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე.

საზოგადოდ, სამოქალაქო სამართლებრივ საქმეებში მოსარჩელეს ეკისრება მიყენებული ზიანის შემსუბუქების ვალდებულება. ცილისწამების სფეროში ეს გულისხმობს, რომ მოსარჩელემ უნდა გამოიყენოს ყველა არსებული საშუალება და მექანიზმი, რაც ჩამოთვლილია ამ პრინციპის მესამე პუნქტში და რომელსაც შეუძლია რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის შემსუბუქება ან ანაზღაურება.

14. ანაზღაურების არამატერიალური ფორმა

სასამართლოსთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ანაზღაურების არამატერიალური ფორმების გამოყენება ცილისწამებლური განცხადებებით რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის.

მეთოთხმეტე პრინციპის კომენტარი

არამატერიალური კომპენსაციების გამოყენება რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკმაოდ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს და, ამავე დროს, შედარებით ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებაზე, ვიდრე ფინანსური ხასიათის კომპენსაციები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არამატერიალური კომპენსაციის გამოყენებას

პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს. ზიანის ანაზღაურების აღნიშნულ ფორმას მიეკუთვნება: ბოდიშის მოხდა, განცხადების კორექტირება ან იმ გადაწყვეტილების გამოქვეყნება, რომლითაც განცხადება ცილისმწამებლურად იქნა ცნობილი.

15. ფულადი კომპენსაცია

- ა) ფულადი კომპენსაციის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ზიანის ანაზღაურების არამატერიალური ფორმის დაკისრება არ იქნება ეფექტური;
- ბ) ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი პოტენციურად უარყოფითი ეფექტი აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. ფულადი კომპენსაცია ყოველთვის მიყენებული ზიანის პროპორციული უნდა იყოს და მისი დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას არამატერიალური კომპენსაციის ყველა არსებული ფორმა, ასევე სხვა სამოქალაქო გადაცდომებისთვის განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობა;
- გ) ცილისწამებით გამოწვეული ფინანსური დანაკარგისა თუ მატერიალური ზიანისთვის კომპენსაცია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი აღნიშნული ზიანისა თუ დანაკარგის არსებობა ნათლად დასტურდება;
- დ) კომპენსაციის ოდენობა არამატერიალური ზიანისთვის, როცა შეუძლებელია მისი ადეკვატური ფულადი ოდენობის დადგენა, უნდა ექვემდებარებოდეს განსაზღვრულ მაქსიმუმს. ამ მაქსიმუმის გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იყოს შესაძლებელი;
- ე) ფულადი კომპენსაცია, რომელიც სცილდება რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის ფარგლებს, შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუკი დადასტურდება, რომ მოპასუხეს გაცნობიერებული ჰქონდა განცხადების ცრუ ხასიათი და შეგნებულად მოქმედებდა მოსარჩელესათვის ზიანის მიყენების მიზნით.

16. დროებითი აკრძალვა

- ა) დაუშვებელია პუბლიკაციის წინასწარი სასამართლო აკრძალვა ცილისმწამებლური ქმედების კონტექსტში;
- ბ) საქმის მთლიან მოსმენამდე დაუშვებელია შემდგომი პუბლიკაციის დროებით აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს სასამართლო ბრძანება ან სხვა განსაკუთრებული გარემოებები:
 1. მოსარჩელეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ პუბლიკაციის შემდგომი გაგრძელება აუნაზღაურებად ზიანს მიაყენებს მის რეპუტაციას;
 2. მოსარჩელეს შეუძლია დაამტკიცოს აკრძალვის ფაქტობრივი აუცილებლობა, მათ შორის რომ:
 - ა) განცხადება უპირობოდ ცილისმწამებლურია;
 - ბ) დაცვის მხარის არგუმენტები აშკარად დაუსაბუთებელია.

მეთექვსმეტი პრინციპის კომენტარი

დროებითი სასამართლო აკრძალვა წარმოადგენს აზრის გამოხატვის თავისუფლების შუზღუდვის უკიდურეს ფორმას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით აკრძალულია მისი გამოყენება განცხადების გამოქვეყნებამდე, როდესაც იგი იძენს წინასწარი აკრძალვის სახეს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინფორმაცია უკვე გამოქვეყნებულია აღნიშნული აკრძალვის გამოყენება უნდა მოხდეს ძალიან იშვიათად, მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას. კერძოდ მაშინ, როდესაც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები აშკარად დაუსაბუთებელია და ვერ გადაწონის სასამართლო აკრძალვის მოტივს.

17. მუდმივი აკრძალვა.

დაუშვებელია მუდმივი სასამართლო აკრძალვის გამოყენება. გამონაკლისის სახით იგი შეიძლება დაკისრებული იქნას მხოლოდ სასამართლო ბრძანების სახით და მხოლოდ საქმის სრული და სამართლიანი გამოკვლევის შემდგომ. მუდმივი სასამართლო აკრძალვის გამოყენება უნდა შეიზღუდოს და უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ განსაზღვრული ტიპის ცილისმწამებლური განცხადებებითა და ხალხის სპეციფიკური კატეგორიით, რომელთაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა ამ განცხადებებისათვის. შემდგომი პუბლიკაციის

შეჩერების ხერხების განსაზღვრა (მაგ. განცხადებების წიგნიდან ამოღება) მოპასუხის პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს.

18. ხარჯები

მოსარჩელესა თუ მოპასუხისთვის ხარჯების დაკისრებისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მის პოტენციურ ეფექტს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე.

მეთვრამეტე პრინციპის კომენტარი

ცილისწამების საქმის წარმოება ხშირად მასშტაბურ ხასიათს იძენს და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მათ შორის დაცვის მხარეს ძალზე ძვირი უჯდება სასამართლო პროცესზე წარმატების მოპოვება. ეს კი სერიოზულ წინააღმდეგობას უქმნის საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე მომავალ პუბლიკაციებს.

19. ბოროტი განზრახვის მქონე მოსარჩელე

მოპასუხეს დაცვის ეფექტური საშუალება უნდა ჰქონდეს იმ მოსარჩელეთა წინააღმდეგ, რომელთა მზანს წარმოადგენს არა რეპუტაციის დაცვა, არამედ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა;

მეცხრამეტე პრინციპის კომენტარი

ხშირად მდიდარი ან პოლიტიკურად ძლევამოსილი ინდივიდები თუ კორპორაციები, მედიის კრიტიკისა თუ მათთვის სუბიექტურად მიუღებელი ქცევების აღკვეთის მიზნით, სასამართლოს იმ შემთხვევაშიც მიმართავენ, როცა მათ წარმატების პერსპექტივა არა აქვთ. ასეთ სიტუაციაში მოპასუხეს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის საშუალება აღნიშნულ ქმედებათა საწინააღმდეგოდ.

სამართლებრივი დაცვის საშუალება უნდა მოიცავდეს მოპასუხის უფლებას, საქმე მოიხსნას სამოქალაქო წარმოებიდან, ან ისეთი პროცედურული მექანიზმის არსებობას, რომელიც საქმის წარმოების ადრეულ სტადიაზე შესაძლებელს გახდის მოთხოვნის უარყოფას, თუ მოსარჩელე ვერ წარმოადგენს სათანადო მტკიცებულებებს.



ეთერის ხელმისაწვდომობა

გაგონების თავისუფლების
პრინციპები და ტელე-რადიო
მაუწყებლობის საქმიანობის
რეგულირების საერთაშორისო
სტანდარტები



შესავალი

ტელე-რადიო მაუწყებლობა არა მხოლოდ ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ხალხის გართობის საუკეთესო საშუალებაც. პრესის მოხმარებისა და განათლების დაბალი დონე, პრესის გავრცელების სხვა სირთულეებთან ერთად, ტელე-რადიო მაუწყებლობას ხალხისთვის ხელმისაწვდომ ერთად-ერთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებად აქცევს. პრესა, თავისი ფასის გამო, ღარიბი ფენებისთვის ფაქტობრივად მიუწვდომელია. აქედან გამომდინარე, მათთვის გაცილებით სასიამოვნო და ადვილია მიიღონ ინფორმაცია ტელევიზიის ან რადიოს საშუალებით. ტელე-რადიო მაუწყებლობას უფრო მეტი დატვირთვა აქვს, როგორც იაფ და ხელმისაწვდომ გართობის საშუალებას.

იქიდან გამომდინარე, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობა ინფორმაციის მინოდების ერთად-ერთი წყაროა, რომელსაც მზარდი შემოსავალი აქვს, მთავრობა და კომერციული ინტერესები მთელი ისტორიის მანძილზე ცდილობდნენ მის გაკონტროლებას. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მაუწყებლობა გვევლინება მთავრობის რუპორად, იმის ნაცვლად, რომ გამოხატოს საზოგადოებრივი ინტერესი. ბევრ ქვეყანაში ტელე-რადიო მაუწყებლობა ბოლო დრომდე სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა და მსგავსი მდგომარეობა კვლავაც გრძელდება. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში კერძო ტელე-რადიო მაუწყებლობა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფო მექანიზმი ცდილობს მის გაკონტროლებას. მთავრობა კონტროლს ახორციელებს ლიცენზიის საშუალებით, ხოლო კომერციული ინტერესები ცდილობენ სამაუწყებლო სექტორის მონოპოლიზებას და ფოკუსირებას ახდენენ დაბალი ხარისხის შემოსავლიან პროგრამებზე.

ეს პრინციპები გვთავაზობს მთელ რიგ სტანდარტებს თემაზე, თუ როგორ განვითარდეს და დაცულ იქნას დამოუკიდებელი ტელე-რადიო მაუწყებლობა და როგორ იხელმძღვანელოს საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

ასევე გვთავაზობს ისეთი საკითხების ანალიზს, როგორც არის საზოგადოებრივი ინტერესის რეგულირება; მთავრობის კონტროლის თავიდან აცილება; მარეგულირებლის არსებობა, რათა თავიდან ავიცილოთ კომერციული ინტერესის მონოპოლია და მივიღოთ გარანტია, რომ ტელერადიო მაუწყებლობა მთლიანად ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს.

ეს პრინციპები ARTICLE-19-ის საერთაშორისო სტანდარტების სერიის ნაწილია, რომლებშიც დეტალურაა განხილული სიტყვის თავისუფლების საკითხები განსხვავებულ თემატურ ასპექტებში. ისინი გამიზნულია კამპანიის მწარმოებლების, ჟურნალისტების, ადვოკატების, მსაჯულების, არჩეული წარმომადგენლების და ოფიციალური პირებისთვის, რათა განავითარონ დამოუკიდებელი ტელერადიო მაუწყებლობა რეგიონებსა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებში.

განმარტება

მოცემული პრინციპები ამკვიდრებენ გამონატვის თავისუფლებისა და ტელერადიო მაუწყებლობის თავისუფალი საქმიანობის სტანდარტებს. პრინციპებით განსაზღვრულია მაუწყებლობის სფეროს რეგულირება სხვადასხვა მოდელის პირობებში და მოწესრიგებულია სახელმწიფოსა და კერძო პირთა საქმიანობა მაუწყებლობის სექტორში. ნორმებით განსაზღვრული ის სტანდარტები, რომელიც ხელს უწყობს გამონატვის თავისუფლების დაცვას, თავისუფალი მაუწყებლობის არსებობასა და უკანონო ჩარევისაგან მაუწყებელთა დაცვას. ამასთანავე აღიარებულია ჩარევის საჭიროება, თუ ეს ემსახურება მაუწყებლობის სფეროს განვითარებას და ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფას ამ სექტორში.

პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და სხვადასხვა სახელმწიფოს კანონებს, ითვალისწინებს სახელმწიფოთა პრაქტიკას ამ სფეროში და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სტანდარტებს. ქვემოთ მოცემული დოკუმენტი ხანგრძლივი შესწავლის, ანალიზის და კონსულტაციის შედეგია, რომელსაც საფუძვლად დაედო მსოფლიოს სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილება.

ნაწილი 1. ძირითადი პრინციპები

პრინციპი 1: ინფორმაციის და გამომხატვის თავისუფლება

- 1.1 ყველას აქვს გამომხატვის თავისუფლება, რაც მოიცავს ინფორმაციის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას ტელე-რადიო მაუწყებლობის ან სხვა ნებისმიერი მედიის საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, ნაბეჭდი თუ სხვა ფორმით.
- 1.2 გამომხატვის თავისუფლების უფლებაში შედის როგორც მაუწყებლის უფლება, დაცული იყოს სახელმწიფო, პოლიტიკური ან კომერციული ჩარევისაგან, ისე საზოგადოების უფლება, მიიღოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი ინფორმაცია და შეხედულებები ტელე-რადიო მაუწყებლობის საშუალებით.
- 1.3 ტელე-რადიო მაუწყებლობის პროგრამა არ უნდა ექვემდებარებოდეს არც მთავრობის და არც სხვა მარეგულირებელი ორგანოს წინასწარ ცენზურას. მარეგულირებელი სანქციის მიღება შეიძლება მხოლოდ განსახილველი მასალის გავრცელების შემდეგ.

პრინციპი 2: სარედაქციო დამოუკიდებლობა

- 2.1 სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის მიხედვით, პროგრამების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავად მაუწყებლობა, რაც გამომდინარეობს პროფესიული კრიტერიუმის და საზოგადოების უფლებისგან მიიღოს ინფორმაცია. ეს გადაწყვეტილება დაცული უნდა იყოს კანონით და ასევე დაფასებული პრაქტიკაში. მთავრობას, მარეგულირებელ ან კომერციულ ორგანოს არ აქვს გადაწყვეტილების მიღებაში ჩარევის უფლება (ნაწილი 6; ნაწილი 9).

- 2.2 ეს პრინციპი იცავს ორივეს, როგორც მთავარ სარედაქციო პოლიტიკას (მაგალითად, უკანონოა, დაუდგინო მაუწყებლობას, როგორ გადმოსცეს ინფორმაცია ომის შესახებ, ან მოთხოვო რომელიმე ეკონომიკური მოდელის რეკლამირება), ისე სპეციფიკურ სარედაქციო გადაწყვეტილებებს.
- 2.3 ტელე-რადიო მაუწყებლობას არ უნდა მოეთხოვოს, გადმოსცეს სპეციალური მაუწყებლობა სხვისი სახელით, ან დაუთმოს მთავრობას სამაუწყებლო დრო (პრინციპი 31).

პრინციპი 3: მრავალფეროვნების წინ წამოწევა

- 3.1 მრავალფეროვნება გულისხმობს სამაუწყებლო ორგანიზაციების სიმრავლეს, მათი მფლობელობისა და მუშაობის წესებს, მსოფლმხედველობას და სამაუწყებლო ენებს, როგორც მაუწყებლობის მთლიანობას. უფრო ზოგადად, მრავალფეროვნებაში მოიაზრება დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანიები და ფართო დიაპაზონის პროგრამები, რომლებიც, ფაქტობრივად, საზოგადოების სახეა.
- 3.2 სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მიმართოს პოზიტიურ ჩარევას, რათა ხელი შეუწყოს ტელე-რადიო მაუწყებლობის ზრდა-განვითარებას და მის მაქსიმალურ მრავალფეროვნებას. სახელმწიფომ ასევე თავი უნდა შეიკავოს მაუწყებლობის შეზღუდვისაგან, რაც ხელს შეუშლის ამ სექტორის ზრდა-განვითარებას.
- 3.3 სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული ეფექტური ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ მონოპოლია მაუწყებლობის მფლობელობაში და უპირატესობა მიენიჭოს მრავალფეროვნებას როგორც სამაუწყებლო, ისე სხვა მედია-სექტორებში. ამ ზომების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მაუწყებლობის, როგორც მთლიანი სექტორის ინტერესებიც და მისი ეკონომიკური უზრუნველყოფაც.

პრინციპი 4: საგანგებო ზომები

მაუწყებლობის კანონიერმა ჩარჩოებმა არ უნდა მისცეს უფლება სახელმწიფო მოხელეებს, საგანგებო სიტუაციების დროს განახორციელონ მაუწყებლობის ან

სამაუწყებლო ტექნიკის კონტროლი. თუკი საგანგებო სიტუაცია მოითხოვს ასეთ ზომებს, მაშინ შეიძლება სპეციალური კანონის მიღება მხოლოდ იმ კონკრეტული სიტუაციისთვის, რომელიც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

პრინციპი 5: სხვების განცხადებებზე პასუხისმგებლობა

მაუწყებლებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა სხვა ადამიანთა განცხადებების გამო შემდეგ სიტუაციებში:

- პირდაპირი ჩართვის დროს, სადაც არალოგიკური იქნება, მაუწყებლობას მოვთხოვოთ გააკონტროლოს არაადეკვატური განცხადებები;
- როდესაც განცხადების გაშუქება საზოგადოების ინტერესში შედის, მაგალითად საზოგადოებაში არსებული განსაზღვრული შეხედულებების დემონსტრირება. თუმცა, მაუწყებლობა შეიძლება სულაც არ იზიარებდეს ამ აზრს;
- პოლიტიკური მაუწყებლობის პირდაპირი ეთერის შემთხვევაში.

ნაწილი 2. სამაუწყებლო გარემო

პრინციპი 6: საყოველთაო ხელმისაწვდომობა

6.1 სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, რომ ამუშავდეს კომუნიკაციისა და ტელე-რადიო მაუწყებლობის მომსახურებით სარგებლობის უნივერსალური ფორმები. ამაში შედის ტელეფონი, ინტერნეტი და ელექტრო-მონყობილობა. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ახორციელებს ამ მომსახურებას, კერძო თუ სახელმწიფო სექტორი. ამ პრინციპის მიზანია საკომუნიკაციო ცენტრების ამუშავება, იქნება ეს ბიბლიოთეკები თუ სხვა საზოგადოებრივი მომსახურების ადგილები;

6.2 სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მაუწყებლობამ მოიცვას მაქსიმალური გეოგრაფიული არეალი და განავითაროს გადამცემი სისტემა. ეს სისტემა ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მაუწყებლობისთვის.

პრინციპი 7: ინფრასტრუქტურა

7.1 სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მაუწყებლობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რისთვისაც უნდა არსებობდეს ელექტროენერჯით მუდმივი და საკმარისი მომარაგება და ტელეკომუნიკაციების ტექნიკური მომსახურების ადეკვატური შესაძლებლობები.

7.2 ტელე-რადიო მაუწყებლობას უნდა მიეცეს საშუალება, საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, როგორც არის ინტერნეტი, სატელიტი და ციფრული ტელე-რადიო მაუწყებლობა.

პრინციპი 8: ეკონომიკური გარემო

სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს საერთო ეკონომიკური გარემო, სადაც განვითარდება ტელე-რადიო მაუწყებლობა. რამდენად საჭირო იქნება სპეციფიური ზომების მიღება, ნათელი გახდება საერთო კონტექსტის შეფასებისას, მაგრამ მთავარი პრინციპი, რომ გატარებული ზომები უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და არადისკრიმინაციული, ყოველთვის უნდა იყოს დაცული. ეკონომიკურ სექტორში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- შეღავათები გადასახადებში, იმპორტსა და ტარიფებში, ასევე ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად (რადიოსა და ტელევიზიისთვის);
- ეროვნული სამაუწყებლო სისტემით სარგებლობის დროს მაუწყებელთათვის პირდაპირი დაბეგვრის შემცირება დაბალი სალიცენზიო გადასახადებისა და გადახდის შეღავათიანი ვადების დანესებით;
- ადეკვატური სასწავლო პროგრამების განხორციელება.

ნაწილი 3. სიხშირეები

პრინციპი 9: სიხშირეების დაგეგმვა

- 9.1 მაუწყებელთა შორის სიხშირეების გადანაწილებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი, იქნება ეს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, უნდა იყოს გამჭვირვალე და ფართო მონაწილეობაზე დამყარებული. მასში უნდა იყვნენ ჩართულნი ტელე-რადიო მაუწყებლობის წარმომადგენლები და პასუხისმგებელ ორგანოები, რომელთაც უნდა იკისრონ სიხშირეების სამართლიანად გადანაწილება.
- 9.2 უნდა შემუშავდეს სამაუწყებლო სიხშირეთა განაწილების გეგმა რათა მოხდეს მათი ოპტიმალური გამოყენება. პროცესი უნდა იყოს ღია, ორმხრივი და მართული იმ ორგანოების მიერ, რომლებიც დაცულნი არიან პოლიტიკური და კომერციული ჩარევისგან. მოცემული სიხშირის გადანაწილების გეგმა უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს საჯაროდ.
- 9.3 სიხშირის გეგმა უნდა იყოს გარანტია, რომ სამაუწყებლო სიხშირე სამართლიანად და საზოგადოების ინტერესის თანახმად ნაწილდება მაუწყებლობის სამ სახეს (სახელმწიფო, კომერციული და საზოგადოებრივი), ორი ტიპის მაუწყებლობას (რადიო და ტელევიზია) და სხვადასხვა გეოგრაფიულ მაუწყებლებს შორის (ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი).
- 9.4 სიხშირის გეგმამ უნდა უზრუნველყოს, რომ ზოგიერთი სიხშირე შენარჩუნდეს სპეციალური კატეგორიის მაუწყებლებისთვის, რათა გარკვეული დროის შემდეგაც შენარჩუნდეს მრავალფეროვნება და სიხშირეების ხელმისაწვდომობა.

ნაწილი 4. მარეგულირებელი ორგანოები

პრინციპი 10: დამოუკიდებლობა

ყველა საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც ახორციელებს ტელე-რადიო მაუწყებლობის და ტელეკომუნიკაციების რეგულირებას, უნდა იყოს დაცული ძირითადად პოლიტიკური და კომერციული სახის ჩარევისგან. აქ შედიან ორგანოები, რომლებიც იღებენ საზოგადოების პრეტენზიებს. ამ ორგანიზაციების იურიდიული სტატუსი ნათლად უნდა იყოს კანონში განსაზღვრული. კანონში მათი ავტონომია და დამოუკიდებლობა შემდეგი საშუალებებით უნდა იყოს გარანტირებული და დაცული:

- მარეგულირებელი ორგანოები ნათლად უნდა იყოს ასახული დამფუძნებელ კანონმდებლობაში, და, თუკი შესაძლებელია, კონსტიტუციაშიც;
- მისი ადგილი, სპეციფიკური ფუნქციებისა და როლის გათვალისწინებით სამაუწყებლო სფეროში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული და;
- წევრობის წესი კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული;
- მარეგულირებელი ორგანო უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების წინაშე ფორმალური პასუხისმგებლობის მატარებელ მრავალსუბიექტიანი ორგანოს;
- დაფინანსების პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ჩაურევლობას მის საქმიანობაში.

პრინციპი 11: სრული დამოუკიდებლობის გარანტია

მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა, ისევე როგორც მათ ქმედებებში ჩარევის აკრძალვა, უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული კანონმდებლობაში და,

თუკი შესაძლებელია, კონსტიტუციაშიც. რადგან ამ ტიპის ორგანოებისთვის არ არსებობს სპეციფიკური სახელი, ქვემოთ მოყვანილი აზრები არის დამოუკიდებლობის გარანტირების ერთ-ერთი გზა:

“[ორგანოს სახელი] უნდა სარგებლობდეს ადმინისტრაციული ავტონომიით ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისგან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფო სტრუქტურას. ყველა უნდა სცემდეს პატივს ამ წესდებას და არც ერთ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს არა აქვს უფლება, გავლენა მოახდინოს [ორგანოს სახელი] წევრზე ან იქ მომუშავე პირზე, მათ მუშაობაზე ან საქმიანობაზე, თუ კანონი არ აძლევს მას ამის უფლებას.”

პრინციპი 12. მაუწყებლობის კურსი

მარეგულირებელი ორგანოს კანონმდებლობაში ნათლად უნდა იყოს გამოხატული სამაუწყებლო კომპანიის პოლიტიკა და მიზნები, რომელიც უნდა იყოს მიმართული სიტყვის თავისუფლების პატივისცემის დანერგვის, მრავალფეროვნების, სიზუსტის და მიუკერძოებლობის, ინფორმაციის და იდეების თავისუფლად გამოხატვისკენ. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინონ და განახორციელონ ეს კურსი მუშაობის პროცესში და ემსახურონ მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესებს.

პრინციპი 13. წევრობა

13.1 მმართველი ორგანოების წევრები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მაუწყებლობებს და ტელეკომუნიკაციებს, ისე უნდა დაინიშნონ, რომ პოლიტიკური და კომერციული ჩარევის რისკი იყოს მინიმალური. წევრების დანიშვნის პროცესი კანონში ნათლად უნდა იყოს აღწერილი. მათ უნდა გამოიყენონ შესაძლებლობების მაქსიმუმი საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

13.2 წევრების დანიშვნის პროცესი უნდა იყოს ღია და დემოკრატიული, არ უნდა იმართებოდეს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან კომერციული ინტერესის მიერ და უნდა მიმდინარეობდეს საზოგადოების ფართო მონაწილეობითა და კონსულტაციების გზით. მხოლოდ იმ პირს, რომელიც ფლობს შესაბამის გამოცდილებას, უნდა ჰქონდეს წევრობის უფლება. ამასთანავე იგი უნდა იყოს საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი.

13.3 “თანამდებობრივი შეუთავსებლობის წესები” გამოყენებული უნდა იქნეს იმ პირის მიმართ, რომელიც:

- დასაქმებულია სახელმწიფო სამსახურში, სამთავრობო ორგანოში;
- არის არჩეული ან დანიშნული ოფიციალურ თანამდებობაზე მთავრობაში ან არის პოლიტიკური პარტიის წევრი;
- უჭირავს თანამდებობა ან იღებენ ხელფასს ტელე-რადიო მაუწყებლობასა და ტელეკომუნიკაციებში ან აკავშირებს მათთან ფინანსური ინტერესი;
- თუკი პირი სამართლიანი სასამართლოს მიერ გასამართლებული იყო მძიმე დანაშაულისათვის ან ჰქონდა მსუბუქი დანაშაული, რის შემდეგაც 5 წელი ჯერ არ გასულა.

13.4 წევრები უნდა დაინიშნონ განსაზღვრული ვადით და ჰქონდეთ გარანტია, რომ არ გათავისუფლდებიან ამ ვადის ამოწურვამდე. მათი გათავისუფლების უფლება აქვს მხოლოდ იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს მათ, მაგრამ მხოლოდ საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ. წევრების განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- თუკი წევრი არღვევს “სამსახურეობრივი შეუთავსებლობის წესებს”;
- არ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას, ჩადის სერიოზულ დანაშაულს და უარს ამბობს გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან;
- არ შეუძლია დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება.

13.5 კანონში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული წევრობის ვადები, პირობები და ვალდებულებები. არავითარი სხვა პირობა არ იქნება მიღებული და განხილული, არც ერთ მინისტრს ან მთავრობის სხვა წარმომადგენელს არა აქვს უფლება, შეიტანოს ცვლილებები დადგენილ ვადებში, პირობებსა და ვალდებულებებში. წევრებს, ისევე როგორც თავად ორგანოს, არა აქვთ უფლება, მიიღონ ინსტრუქციები სხვა ორგანოსგან, გარდა იმისა, რომელიც ნიშნავს წევრებს.

- 13.6 წევრების ხელფასით და კომპენსაციით დაკმაყოფილება კანონში ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა რომელიმე წევრის მიმართ არ მოხდეს დისკრეციული ფინანსური ანგარიშგება. წევრებს უნდა აეკრძალოთ კანონში მითითებული თანხის გარდა სხვა ანაზღაურების აღება კანონით დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებისათვის.
- 13.7 შეხვედრებსა და კვორუმთან დაკავშირებული შიდა წესების დადგენა შეიძლება მხოლოდ კანონით ან თავად მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

პრინციპი 14: ცვლილებების შეტანა

- 14.1 მარეგულირებელი ორგანოების უფლებები, მაგალითად ლიცენზირებასთან და საჩივრებთან დაკავშირებით, ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონმდებლობაში. ეს უფლება-მოვალეობები არ შეიძლება შეიცვალოს შესაბამის კანონმდებლობაში შესწორების შეტანის გარეშე. უფლებამოსილებათა განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს დისკრეციის მინიჭებაც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის, რითაც მართვის ორგანოს საშუალება ექნება უზრუნველყოს მრავალმხრივი, სამართლიანი მონაწილეობა მაუწყებლობის სფეროში. დისკრეციის საჭიროება გამოწვეულია მაუწყებლობის სფეროს თავისებურებებითა და სირთულით, რაც შეუძლებელს ხდის მის ამომწურავად რეგულირებას საკანონმდებლო აქტით ან ნორმატივებით.
- 14.2 კანონმა უნდა უზრუნველყოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ კერძო მაუწყებლობებზე განხორციელებული კონტროლის პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ყველა გადაწყვეტილება უნდა ემორჩილებოდეს ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს და დადასტურდეს წერილობით.

პრინციპი 15: ანგარიშვალდებულება

- 15.1 მარეგულირებელი ორგანოები ფორმალურად პასუხს უნდა აგებდნენ საზოგადოების წინაშე. ანგარიშვალდებულების ძირითადი გარანტიაა მრავალსუბიექტიანი არჩევითი ორგანო ან კომიტეტი და არა მინისტრი ან სხვა პარტიული სუბიექტი. კანონის თანახმად, მარეგულირებელ

ორგანოს მოეთხოვება წარმოადგინოს საქმიანობისა და ბიუჯეტის დეტალური წლიური ანგარიში, რომელშიც შედის აუდიტიც. წლიური ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს და ფართოდ გავრცელდეს.

- 15.2 მარეგულირებელი ორგანოს ყველა დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს უკვე განხორციელებული ქმედებიდან და არასდროს არ უნდა ჰქონდეს მიზნად, გავლენა მოახდინოს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე.

პრინციპი 16: საქმის განხილვა სასამართლოში

მარეგულირებელი ორგანოს ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ეხება კონკრეტულ სუბიექტებს, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოში განხილვას.

პრინციპი 17: დაფინანსება

- 17.1 მარეგულირებელ ორგანოებს, მათი ფუნქციების გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეთ შესაფერისი დაფინანსება, რომელიც დაიცავს მათ გარეშე ჩარევისაგან. მათი დაფინანსება და დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონში და მიჰყვეს განსაზღვრულ გეგმას, რათა ააცილოს მათ სპონტანური გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ მიღებული უნდა იყოს გამჭვირვალედ იმ ორგანოსთან კონსულტაციის შემდეგ, რომელსაც იგი ეხება.
- 17.2 დაფინანსების პროცესი არ უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს მარეგულირებელ ორგანოებზე განხორციელდეს ზემოქმედება.

ნაწილი 5. ლიცენზირება

პრინციპი 18: ლიცენზიის პირობები

მაუწყებლებს უნდა მოეთხოვებოდეთ ლიცენზიის მოპოვება, რათა მიიღონ საქმიანობის უფლება და გახდნენ ამ თავში ჩამოყალიბებული პრინციპების სუბიექტები. ეს მოთხოვნა შეიძლება ვრცელდებოდეს მაუწყებლობის ისეთ სახეებზე, როგორცაა: მინისზედა, სატელიტური ან კაბელური ტელე-რადიო მაუწყებლობა, ინტერნეტის გამოკლებით.

პრინციპი 19: პასუხისმგებლობა ლიცენზირების პროცესზე

- 19.1 ლიცენზირებასთან დაკავშირებული ყველა გადანყვეტილება უნდა იქნას მიღებული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ, დამოუკიდებლობის პრინციპის სრული დაცვით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დოკუმენტის მე-4 ნაწილით.
- 19.2 პასუხისმგებელ მარეგულირებელ ორგანოს უნდა მოეთხოვებოდეს, გასცეს ლიცენზიები სიხშირის განაწილების გეგმის მიხედვით და მრავალფეროვნების პრინციპის დაცვით. ლიცენზიები უნდა გაიცეს ყველა მაუწყებლობაზე და ორივე ტიპის (ტელე, რადიო) მაუწყებლებზე.

პრინციპი 20: ლიცენზირების პროცესში მონაწილეობის უფლება

- 20.1 არ შეიძლება არსებობდეს ლიცენზიის გაცემაზე ავტომატური აკრძალვები მაუწყებლობის ფორმის ან მიზნების უარყოფითი შეფასების გამო. თუმცა, თუკი პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ლიცენზიის მიღების სურვილი, ამ შემთხვევაში აკრძალვა, რა თქმა უნდა, კანონიერი იქნება.

ლიცენზიის მიღების მსურველებს არ მოეთხოვებათ, ჰქონდეთ გაერთიანების ტიპის იურიდიული ფორმა. აკრძალვა ასევე არ ვრცელდება რელიგიურ ორგანიზაციებზეც. მაგრამ, გარდა განსაზღვრული ტიპებისა, მარეგულირებელ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

- 20.2 შებენიანობის შეიძლება გავრცელდეს უცხო ქვეყნის საკუთრებასა და მაუწყებლობაზე, მაგრამ შებენიანობა უნდა ითვალისწინებდეს მთლიანად სამაუწყებლო სექტორის და მისი მომსახურების განვითარებას, რათა მაუწყებლობა ეკონომიკურად სრულფასოვანი გახდეს.

პრინციპი 21: ლიცენზირების პროცესები

- 21.1 ტელე-რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მიღების პროცესი კანონში ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე, რომელშიც შედის გადაწყვეტილების მიღების ზუსტი ვადები, მთხოვნელის გამოცდილება და საზოგადოების აზრი მის შესახებ. სიტუაციიდან გამომდინარე, ლიცენზია შეიძლება გაიცეს დაუყოვნებლივ, ყველა წინაპირობის არსებობის გარეშე ან ტენდერის საფუძველზე. მაგრამ თუკი რამდენიმე კანდიდატურაა, უპირატესობა, რა თქმა უნდა, ტენდერს ენიჭება.
- 21.2 ლიცენზიის მოთხოვნა უნდა შეფასდეს კანონში ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით. კრიტერიუმები უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური და ასახავდეს მოსახლეობაში არსებული განსხვავებული შეხედულებების გამომწვევების საჭიროებას, ქონების ერთი პირის ხელში დაგროვებისაგან დაცვის მექანიზმებს და აფასებდეს ლიცენზიანტის ფინანსურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს სრულად აითვისოს სიხშირე. არავის უნდა მოეთხოვებოდეს ლიცენზიის მიღებამდე თანხის წინასწარი გადახდა, თუმცა შეიძლება მოთხოვნილი იქნას ადმინისტრაციული გადასახადის გადახდა საჭირო პროცედურების ჩატარებისთვის.
- 21.3 უარს ლიცენზიის გაცემაზე თან უნდა ახლდეს წერილობითი დასაბუთება, რომელიც ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

- 21.4 როდესაც აპლიკანტი ლიცენზიასთან ერთად საჭიროებს სამაუწყებლო სიხშირეს, მის მისაღებად არ არის საჭირო დამატებითი პროცედურების გავლა. წარმატებულ აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ გარანტია, რომ მიიღებენ სამაუწყებლო ლიცენზიის შესაფერის სიხშირეს.
- 21.5 წარმატებულ აპლიკანტებს უნდა შეეძლოთ, დამოუკიდებლად განახორციელონ გადაცემა ან გააფორმონ კონტრაქტი გადაცემის მომსახურებაზე.

პრინციპი 22. ლიცენზიის პირობები

22.1 ლიცენზია შეიძლება მოიცავდეს განსაზღვრულ ვადებსა და პირობებს. ეს ვადები და პირობები შეიძლება იყოს საერთო, ჩამოყალიბებული იურიდიული ფორმით ან სპეციალურად განსაზღვრული თითოეული მაუწყებლისთვის. ლიცენზიის ვადები და პირობები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს საკონკურსო განაცხადის ფორმაში. არ შეიძლება ისეთი პირობების და ვადების დაწესება, რომელიც:

- არ შეესაბამება მაუწყებლობის სფეროში დამკვიდრებულ წესებს;
- არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რაც მაუწყებლობის შესახებ კანონით არის მიღებული.

ლიცენზირებისათვის დაწესებული ვადები და პირობები უნდა იყოს რეალისტური და შესრულებადი.

22.2 ლიცენზიანტებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მოითხოვონ ლიცენზიის პირობებში შესწორებების შეტანა. ნებისმიერი შესწორება უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების სფერო და ემთხვეოდეს 22.1 პრინციპის პირობებს.

22.3 სხვადასხვა ტიპის მაუწყებლობის ლიცენზირების ვადები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული იურიდიული ფორმით. ეს ვადები უნდა იძლეოდეს როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას. ლიცენზირების ვადები უნდა განსხვავდებოდეს მაუწყებლობის რიგების და ტიპების მიხედვით.

- 22.4 ლიცენზირებულ პირს შეიძლება დაეკისროს ლიცენზიის გადასახადი, მაგრამ არა ისეთი მაღალი, რომ ხელი შეეშალოს სექტორის განვითარებას, ლიცენზიის მოთხოვნას და საერთო კომერციულ მიზნებს. სხვადასხვა ტიპის ლიცენზიის გადასახადები უნდა იქნას განსაზღვრული წინასწარ, დადგენილი გრაფიკის მიხედვით.
- 22.5 ლიცენზირებული პირის მიმართ უნდა მოქმედებდეს ლიცენზიის განახლების პრეზუმფცია, თუმცა შეიძლება პრეზუმფცია დაირღვეს თუ ლიცენზიის მიმღებმა ვერ შეასრულა ლიცენზიით დადაგენილი პირობები. ლიცენზიის განახლება საშუალებას აძლევს ორივე მხარეს, შეიტანონ ცვლილებები ლიცენზიის პირობებში. ლიცენზიის განახლებაზე უარს თან უნდა ახლდეს წერილობითი მიზეზები.

ნაწილი 6. შინაარსობრივი რეგულირება

პრინციპი 23: ადმინისტრაციული წესები შინაარსობრივი რეგულირებისათვის

- 23.1 მაუწყებლობის კანონი არ უნდა აწესებდეს მაუწყებელთათვის სამოქალაქო თუ სისხლის სამართლით გათვალისწინებულ შინაარსობრივი რეგულირების ფორმებს ან აპელირებდეს სხვა აქტებში არსებული ნორმებით, რომელნიც ზოგადად ზღუდავენ გამოხატვის თავისუფლებას.
- 23.2 მაუწყებლობის შინაარსის ადმინისტრაციული წესებით რეგულირება, ამ პუნქტში ჩამოთვლილი პრინციპების თანახმად, აუცილებლად უნდა იყოს ლეგიტიმური. ხოლო თუკი მაუწყებლობა თავად ახორციელებს გადაცემის შინაარსის რეგულირებას, ადმინისტრაციული სისტემის მოქმედება აღარ არის საჭირო.
- 23.3 შინაარსობრივი რეგულირების წესები უნდა ჩამოყალიბდეს მაუწყებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ხშირი კონსულტაციების შედეგად და დასრულებული სახე უნდა მიიღოს მხოლოდ საზოგადოებრივი განხილვების შემდეგ. დეტალურად შეთანხმებული წესები უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ. ამ წესებში გათვალისწინებული უნდა იყოს მაუწყებლობის სამი სახის და ორი ტიპისთვის დამახასიათებელი განსხვავებული გარემოებანი.
- 23.4 მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირება, მე-4 ნაწილში ჩამოთვლილი დამოუკიდებლობის პირობების თანახმად, მარეგულირებელი ორგანოების ვალდებულებაა. უმჯობესია, ყველა წესის რეგულირებას ახორციელებდეს ერთი ორგანო.

პრინციპი 24: პოზიტიური შინაარსობრივი ვალდებულება

- 24.1 სახელმწიფო მაუწყებლობის პირდაპირი ვალდებულებაა, უზრუნველყოს საზოგადოების უფლება – იცოდეს და მიანოდოს საზოგადოებას მრავალფეროვანი ინფორმაცია და მასალა (პრინციპი 37: საზოგადოებისთვის სამსახურის ვალდებულება).
- 24.2 ამ ნაწილის თემა, ანუ პოზიტიური ხასიათის ვალდებულება, ეხება კომერციულ და საზოგადოებრივ მაუწყებლებს მხოლოდ მაშინ, როცა მათი მიზანია მაუწყებლობის მრავალფეროვნების განვითარება საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის მასალის მიწოდებით. ეს ვალდებულება არ არის კანონიერი, თუკი ხელს უშლის მაუწყებლობის განვითარებას მძიმედ აღსაქმელი და არარეალური ინფორმაციის მიწოდებით. ამას გარდა, მსგავსი ვალდებულება უნდა იყოს საერთო ხასიათის, პოლიტიკურად ნეიტრალური და ნათელი და არავითარ შემთხვევაში ბუნდოვანი ან აბსტრაქტული. მსგავსი მოთხოვნები ვრცელდება ლოკალურ ინფორმაციასა და სამაუწყებლო ენაზე, უმცირესობათა და საბავშვო გადაცემებზე, ასევე ახალ ამბებზეც.

პრინციპი 25: რეკლამირება

- 25.1 რეკლამის რაოდენობა შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ შეზღუდვა არ უნდა იყოს ისეთი მკაცრი, რომ შეაფერხოს მაუწყებლობის სექტორის საერთო ზრდა-განვითარება. ზოგიერთ რეგიონში კანონი განსაზღვრავს რეკლამის ოდენობას, მაგალითად ევროპული კონვენცია ტრანსსასაზღვრო ტელევიზიებზე (ამ შემთხვევაში 20%).
- 25.2 საზოგადოებრივი მაუწყებლობა რეკლამირების საკითხში უნდა დაემორჩილოს სამართლიანი კონკურენციის წესებს, არ უნდა ისარგებლოს სახელმწიფო დაფინანსების უპირატესობით და არ უნდა განათავსოს რეკლამა საბავშვო ფასებზე იაფად.
- 25.3 შეიძლება ჩამოყალიბდეს ცალკე ადმინისტრაციული რეჟიმი, რომელიც ამ ნაწილში ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით დაარეგულირებს რეკლამის შინაარსს.

ნაწილი 7. სანქსიები

პრინციპი 26. სანქციების მიმართვის პროცესი

სანქციები არასდროს უნდა განხორციელდეს კერძო მაუწყებლების მისამართით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი აშკარად არღვევს იურიდიულ მოთხოვნებს ან ლიცენზიის პირობებს; ასევე, თუკი გაირკვევა, რომ მას განცხადებისთვის საკმარისი საფუძველი გააჩნდა. სანქციების დადების უფლება აქვს მხოლოდ იმ ორგანოს, რომელიც ასრულებს მე-4 ნაწილში ჩამოყალიბებულ პირობებს. სანქციის დაკისრებაზე გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ.

პრინციპი 27: პროპორციულობა

- 27.1 მარეგულირებელ ორგანოს უნდა შეეძლოს მთელი რიგი სანქციების განხორციელება, მაგრამ სანქცია უნდა იყოს მიყენებული ზარალის მკაცრად პროპორციული. სანქციების ტიპის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ რეგულირების მიზანია არა მაუწყებლობის “შეზღუდვა”, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა. სანქციების მიზანი სექტორის გამართული მუშაობის გარანტირება და საზოგადოების მრავალფეროვანი და ხარისხიანი პროდუქტით უზრუნველყოფაა.
- 27.2 შინაარსობრივი უზუსტობისას სანქციის შერჩევა და გამოყენება უმეტეს შემთხვევაში უნდა მოხდეს მაქსიმალური სიფრთხილით. ჩვეულებრივ, პირველი დარღვევისას სანქციას ექნება გაფრთხილების ფორმა, რათა დანაშაული აღარ განმეორდეს. უფრო სერიოზული დარღვევისას სანქციებიც უფრო სერიოზული იქნება. ეს არის ჯარიმა ან ლიცენზიის შეჩერება, უკიდურეს შემთხვევაში კი ლიცენზიის გაუქმება. ჯარიმები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როცა

გაფრთხილებას არ მოყვება შედეგი, ხოლო ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება – როდესაც მაუწყებლობა რამდენიმეჯერ იქნება დანაშაულში მხილებული, ხოლო სანქციების სხვა ფორმების გამოყენებით პრობლემა არ გადაიჭრა.

27.3 სერიოზული სანქციის შემთხვევაში მაუწყებელს უნდა ჰქონდეს სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ნაწილი 8. სახელმწიფო რესურსების ხელმისაწვდომობა

პრინციპი 28: დისკრიმინაციის დაუშვებლობა

- 28.1 სახელმწიფო რესურსის მოხმარება, ანუ სახელმწიფო რეკლამის განთავსება ტელე-რადიო მაუწყებლობაში, უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამართლიანი და არადისკრიმინაციული გზებით (პრინციპი 36: სახელმწიფო მაუწყებლობის დაფინანსება).
- 28.2 ინფორმაციის მიწოდების დროს ოფიციალურმა პირებმა არ უნდა გამოიყენონ დისკრიმინაციული მიდგომა სახელმწიფო, კომერციული თუ საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიმართ.
- 28.3 კომერციული თუ საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების დროს სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს მრავალფეროვნების წინ წამოწევა. ფინანსების გადანაწილება უნდა ხდებოდეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე, რომელიც ასრულებს მე-4 ნაწილში ჩამოყალიბებულ დამოუკიდებლობის პირობებს.

ნაწილი 9. არჩევნების გაუქმება

პრინციპი 29: ადეკვატური ინფორმაცია

- 29.1 სახელმწიფო ვალდებულია, არჩევნების პერიოდში საზოგადოება უზრუნველყოს ადეკვატური ინფორმაციით. ეს შეეხება ხმის მიცემის პროცედურას, პოლიტიკური პარტიებისა თუ კანდიდატების პროგრამებს, საარჩევნო კამპანიასთან და არჩევნებთან დაკავშირებულ უამრავ სხვა საკითხს. ეს ინფორმაცია საზოგადოებას უნდა მიაწოდონ მაუწყებლობებმა საინფორმაციო პროგრამებისა და სპეციალური საარჩევნო გამოშვებების, პოლიტიკური რადიოგადაცემებისა და, თუკი დაშვებულია, პოლიტიკური სარეკლამო რგოლების მეშვეობით.
- 29.2 ამ ვალდებულების შესრულება, პირველ რიგში, მოეთხოვება სახელმწიფო მაუწყებლობას, თუმცა იგივე ვალდებულება შეიძლება დაეკისროთ კომერციულ ან საზოგადოებრივ მაუწყებლობებს.
- 29.3 მაუწყებლობებმა უნდა უზრუნველყონ წინასაარჩევნო გადაცემების სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა.
- 29.4 საარჩევნო პერიოდში გაშუქების თავისებურებათა განსაზღვრა და კონკრეტული ვალდებულებების დაკისრება მაუწყებლებზე უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი ორგანოს მიერ, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მე-4 ნაწილში ჩამოთვლილი პირობების შესაბამისად.

პრინციპი 30: ამომრჩევლის განათლება

სახელმწიფოს მოეთხოვება, მოამზადოს ამომრჩეველი და გაარკვიოს იგი ხმის მიცემის ტექნიკურ წერილმანებში, რომელშიც იგულისხმება თუ სად, როგორ და როდის უნდა გაიაროს ამომრჩეველმა რეგისტრაცია; განუმარტოს მისი უფლება, ამოირჩიოს ნებისმიერი კანდიდატი ფარული კენჭისყრის საშუალებით და გაითავისოს ხმის მიცემის მნიშვნელობა. თუკი მოთხოვნების უზრუნველყოფა არ ხდება სხვა გზებით, სამივე სახის ტელევიზია ვალდებულია, გაატაროს ამომრჩევლის მომზადების პროგრამა.

პრინციპი 31: პოლიტიკური მაუწყებლობა საეთერო დროის უფლება

- 31.1 სახელმწიფო მაუწყებლობებს უნდა მოეთხოვებოდეთ სამართლიანად, თანაბრად და არადისკრიმინაციულად გაუნაწილონ პირდაპირი საეთერო დრო პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს. იგივე მოეთხოვებათ კომერციულ და საზოგადოებრივ მაუწყებლობებს. ტერმინები “სამართლიანი, თანასწორი და არადისკრიმინაციული” გამოიყენება პირდაპირი ეთერის განაწილებისას, სიხშირეთა განაწილების დაგეგმვისა და სხვადასხვა სახეობის გამოყენებისას. სახელმწიფო მაუწყებლები ვალდებული არიან და საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლებს შესაძლებელია მოეთხოვოთ, უზრუნველყონ პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები საეთერო დროით და შეუქმნან პოლიტიკური დებატების გამართვის პირობები.
- 31.2 ტელე-რადიო მაუწყებლობებს არ უნდა აეკრძალოთ პოლიტიკური მაუწყებლობის უფლება, თუკი ისინი უხეშად არ არღვევენ იურიდიულ ვალდებულებებს. პოლიტიკური მაუწყებლობის უფლების გამო, მესუთე პრინციპის თანახმად, ისინი დაცულნი უნდა იყვნენ იურიდიული პასუხისმგებლობისაგან.

პრინციპი 32: კომერციული პოლიტიკური რეკლამა

იქ, სადაც პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს აქვთ უფლება, იყიდონ საჭირო დრო პოლიტიკური რეკლამებისათვის. მაუწყებლობებს მოეთხოვებათ, ეს დრო თანაბრად და არადისკრიმინაციულად გადაუნაწილონ ყველა პარტიასა და კანდიდატს.

პრინციპი 33: უზუსტობათა აღმოფხვრა

ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია მაუწყებლობების საარჩევნო ვალდებულებებზე, უნდა მისცეს გარანტია პარტიებს და კანდიდატებს, რომ საარჩევნო დარღვევებზე მოხდება სწრაფი რეაგირება. დარღვევის შემთხვევაში მას შეუძლია მიმართოს მთელ რიგ ზომებს. მაგალითად, თუკი რომელიმე ინდივიდზე მაუწყებლობა გაავრცელებს არაადეკვატურ ინფორმაციას, მას შეუძლია მოითხოვოს განმარტების მიღება, დაზარალებული მხარისათვის შეპასუხების საშუალების მიცემა ან შეცდომის გამოსწორება. ამ ორგანოს გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოში გასაჩივრებას.

ნაწილი 10. სახელმწიფო მაუწყებლობები

პრინციპი 34: სახელმწიფო/სამთავრობო მაუწყებლობების გარდაქმნა

სადაც სახელმწიფო ან სამთავრობო მაუწყებლობები არსებობს, ამ ნაწილის თანახმად ისინი უნდა გარდაიქმნას საზოგადოებრივ მაუწყებლობებად.

პრინციპი 35: დამოუკიდებლობა

35.1 სახელმწიფო მაუწყებლობას უნდა აკონტროლებდეს დამოუკიდებელი ორგანო, როგორც არის მაგალითისთვის მმართველი საბჭო. ამ ორგანოს ავტონომია და დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს იმავე გზით, რითაც გარანტირებულია მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა (ნაწილი 4). დამოუკიდებლობა კანონში შემდეგი გზებით უნდა იყოს დაცული და გარანტირებული:

- დამოუკიდებლობა უნდა იყოს დაცული დამფუძნებელი კანონმდებლობით და თუ შესაძლებელია კონსტიტუციით;
- მმართველი ორგანოს საქმიანობის მიზნები, უფლებები და პასუხისმგებლობა განსაზღვრული უნდა იყოს დამფუძნებელი კანონმდებლობით;
- წევრების დანიშვნასთან დაკავშირებულ წესები უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით;
- საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება გარანტირებული უნდა იყოს მრავალსუბიექტიანი მმართველი ორგანოს მეშვეობით;
- სარედაქციო დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი;

○ დაფინანსების პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ჩაურევლობას მის საქმიანობაში.

35.2 მმართველი ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს სახელმწიფო მაუწყებლობების ხელმძღვანელის დანიშვნაზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მარეგულირებელი ორგანოს წინაშე. მარეგულირებელი ორგანო თავის მხრივ ანგარიშვალდებული უნდა იყოს წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე. ხელმძღვანელის დანიშვნის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი. პრეტენდენტებს უნდა მოეთხოვებოდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ „სამსახურეობრივი შეუთავსებლობის“ წესის მოთხოვნებს (პრინციპი 13.3). მართვის ორგანოში მომუშავე რიგით წევრებს უნდა ჰქონდეთ უფლება, მიმართონ სასამართლოს მათ მიმართ სერიოზული დისციპლინური მოქმედების ან დაკავებული ადგილიდან გათავისუფლების შემთხვევაში.

35.3 მმართველი ორგანოს როლი ნათლად უნდა იყოს გამოხატული კანონში. მის პასუხისმგებლობაში უნდა შედიოდეს სახელმწიფო მაუწყებლობის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება და მაუწყებელთათვის ხელშეუხებლობის გარანტირება. დამოუკიდებელი მმართველი ორგანო არ უნდა ჩაერიოს ყოველდღიური გადაწყვეტილების მიღებაში, განსაკუთრებით კი მაუწყებლობის შინაარსის საკითხში, დააფასოს რედაქციული დამოუკიდებლობის პრინციპი და არ განახორციელოს წინასწარი ცენზურა. მაუწყებლობის ყოველდღიურ მუშაობასა და პროგრამულ საკითხებზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მმართველობა.

პრინციპი 36: სახელმწიფო მაუწყებლობის დაფინანსება

სახელმწიფო მაუწყებლობები უნდა იღებდნენ ადექვატურ დაფინანსებას, მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რათა მოხდეს მათი დაცვა ფინანსური ჩარევებისაგან.

პრინციპი 37: სახელმწიფო მომსახურების ვალდებულება

საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული მის დაფინანსებასთან და

უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული კანონში. მათ მოეთხოვებათ, დაამკვიდრონ მრავალფეროვანი მაუწყებლობა ფართო დიაპაზონის ინფორმაციული, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი პროგრამების საშუალებით. საზოგადოებრივი მაუწყებლობა თავისი საქმიანობისასა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პრინციპებს:

- საზოგადოებას მიაწოდოს ხარისხიანი, დამოუკიდებელი პროგრამები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოების შეხედულებათა მრავალფეროვნება;
 - ობიექტური, ზუსტი და დაბალანსებული საინფორმაციო პროგრამები;
 - მასალის დიდი არჩევანი, რომელშიც დაბალანსებული იქნება გასართობი და შემეცნებითი პროგრამები
- მოემსახურება განსხვავებული ინტერესის მქონე მაყურებელს;
- იყოს საყოველთაოდ მისაღები და ემსახურებოდეს მთელ ქვეყანას, ისევე როგორც მის ცალკეულ რეგიონებს, უმცირესობების ჩათვლით;
- წინ წამოწიოს ადგილობრივი პროდუქცია და გადასახადის მინიმალური მოთხოვნით ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ მწარმოებლებს ორიგინალური პროდუქტის შესაქმნელად.



იოჰანესბურგის პრინციპები

ერთვნილი უშიშროების,
აზრის გამოხატვის თავისუფლებისა
და ინფორმაციის მიღების თავბაზა



შესავალი

ქვემოთ მოცემული პრინციპები 1995 წლის 1 ოქტომბერს მიიღო საერთაშორისო სამართლის, ეროვნული უშიშროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სპეციალიზებულმა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც მოწვეულ იქნა იოჰანესბურგში ცენზურის სანინაალმდეგო საერთაშორისო ცენტრის მიერ, Witwatersrand-ის უნივერსიტეტთან არსებული იურიდიული სწავლების ცენტრთან თანამშრომლობით.

ნორმები ეფუძნება საერთაშორისო და რეგიონულ სამართალს, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, ეროვნული გამოცდილების გათვალისწინებით და ერთა საზოგადოების მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებს.

ეს ნორმები აღიარებენ “Siracusa“-ს პრინციპების მიზანშეწონილობას საერთაშორისო შეთანხმებით უზრუნველყოფილ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის თაობაზე, ასევე საგანგებო მდგომარეობის არსებობისას ადამიანის უფლებათა დაცვის პარზის მინიმალურ სტანდარტებს¹.

¹ “Siracusa“-ს პრინციპები მიღებულ იქნა 1984 წლის მაისში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც მოწვეულ იქნა იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის, იურისტთა საერთაშორისო კომისიის ამერიკის ასოციაციის, ადამიანის უფლებათა მორგანის საქალაქო ინსტიტუტისა და კრიმინალისტიკის უმაღლესი სწავლების საერთაშორისო ინსტიტუტის ორგანიზებითა და ხელშეწყობით. პარზის მინიმალური სტანდარტები მიღებული იქნა 1984 წლის აპრილში ექსპერტთა ჯგუფის მიერ საერთაშორისო სამართლის ასოციაციის პატრონაჟით.

პრეამბულა

იოჰანესბურგის ნორმების შემუშავებისას ექსპერტებმა მხედველობაში მიიღეს შემდეგი პრინციპები, დებულებები და ფაქტები:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის შესაბამისად, ჰუმანური მსოფლიოს ოჯახის ყველა წევრის ხელშეუვალი ღირსებისა და თანასწორი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველთა საფუძველი;
2. ადამიანის უფლებათა დაცვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხალხი იძულებული ხდება მიმართოს ამბოხს, როგორც უკიდურეს საშუალებას ჩაგვრისა და ტირანიის წინააღმდეგ;
3. აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებები წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის ფასეულობებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას დემოკრატიული საზოგადოების არსებობა, მისი პროგრესი და კეთილდღეობა, ადამიანის სხვა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების გამოყენების შესაძლებლობა;
4. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის, ბავშვთა უფლებების გაეროს კონვენციის, მართლმსაჯულების განხორციელების დამოუკიდებლობის გაეროს საბაზისო ნორმების, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკის ქარტიის, ადამიანის უფლებათა ამერიკული და ევროპული კონვენციების უმნიშვნელოვანესი დებულებები;
5. მთავრობათა მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ზოგიერთი, მათ შორის საკმაოდ სერიოზული დარღვევა გამართლებულია როგორც ეროვნული უშიშროების დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიება;

6. თუ საზოგადოება მონოდებულია, გააკონტროლოს მთავრობის საქმიანობა და სრულად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში, მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც მთავრობას გააჩნია;
7. აუცილებელია ზუსტად, დეტალურად და მკაცრად განისაზღვროს, თუ როდის შეიძლება ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდვების დანერგვა აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებათა გამოყენებაზე, რათა შემდგომში გამოირიცხოს მთავრობის მხრიდან ყოველგვარი გაუმართლებელი შეზღუდვა;
8. აუცილებელია აღნიშნულ თავისუფლებათა საკანონმდებლო დაცვა ისეთი კანონების მიღებით, რომლებიც აკმაყოფილებენ მათი დაცვისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;
9. აუცილებელია არსებობდეს აღნიშნულ თავისუფლებათა სასამართლო დაცვის საშუალება დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოების მეშვეობით.

ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის ორგანოებს, როგორც ეროვნულ და რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე, ეძლევათ რეკომენდაცია, გადადგან ნაბიჯები ამ პრინციპების გავრცელების აღიარებისა და რეალიზაციისკენ.

ზოგადი დებულებები

1. აზრის, მისი გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება.

- ა) ყველას აქვს უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;
- ბ) ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებაში, მიიღოს და გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია თუ მოსაზრება, როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით თუ ბეჭდვითი ფორმით, როგორც ხელოვნებისა და მასმედიის, ისე გამოხატვის სხვა საშუალებათა გამოყენებით;
- გ) “ბ” პუნქტით განმტკიცებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, მათ შორის ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე;
- დ) შეზღუდვების დაწესება აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და თუ მისი გამოყენება წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით².

² საზოგადოება დემოკრატიულია იქ, სადაც მთავრობა ორგანულად არის პასუხისმგებელი არსებულ რეალობაზე; ტარდება პერიოდული, საყოველთაო, თანასწორი არჩევნები ფარული ხმის უფლებით, რაც ქმნის ამომრჩეველთა მხრიდან სამოქალაქო ნების თავისუფლად გამოხატვის გარანტიას; პოლიტიკურ გაერთიანებებს აქვთ სრული თავისუფლება, ოპოზიციამ ჩაუდგინა არსებულ მთავრობას; არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური საკანონმდებლო გარანტიები, უზრუნველყოფილი დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ. ეს განსაზღვრება ეფუძნება პროფესორ სმიტის კონსტიტუციონალური დეფინიციის (The Commonwealth and its Constitution), რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმების 25-ე მუხლზე დაყრდნობით იქნა გავრცობილი.

1.1 კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა

- ა) აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებათა ნებისმიერი შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. კანონი უნდა იყოს არაორაზროვანი, დეტალური და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რათა გამოირიცხოს მისი ბოროტად გამოყენება არაკანონიერი მიზნებისთვის;
- ბ) კანონის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნას სწრაფი, ყოველმხრივი და ეფექტური ზედამხედველობა შეზღუდვათა კანონიერებაზე, დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს ან ტრიბუნალის მეშვეობით.

1.2. ეროვნული უშიშროების დაცვა

აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მის რეალურ მიზანს წარმოადგენს ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვა.

1.3. აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

იმისათვის, რომ მთავრობამ დაასაბუთოს შეზღუდვების აუცილებლობა ეროვნული უშიშროების დასაცავად, მან უნდა დაამტკიცოს რომ:

- ა) აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების გამოყენება კონკრეტულ შემთხვევაში რეალურ საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას;
- ბ) დაწესებული შეზღუდვა ეროვნული უშიშროების დაცვისათვის აუცილებელი მინიმალური ზომია;
- გ) შეზღუდვა შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს.

2. ეროვნული უშიშროების ინტერესების ლეგიტიმური დაცვა

- ა) შებლუდების დანესება ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვის ნიადაგზე ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, თუ რეალური საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს არსებობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე სახელმწიფოს შესაძლებლობას, აღკვეთოს როგორც გარე საფრთხე – სამხედრო ხელყოფის სახით, ისე შიდა – მთავრობის ძალადობრივი დამხობის სახით;
- ბ) შებლუდების დანესება ეროვნული უშიშროების დაცვის ნიადაგზე არ არის ლეგიტიმური, თუ მისი რეალური მიზანი შორს დგას ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან. კერძოდ, მთავრობის დაცვა დანაშაულში მხილებისაგან, მთავრობისათვის მიუღებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის დამალვა, განსაზღვრული იდეოლოგიის გატარება ან სოციალური უკმაყოფილების ჩახშობა.

3. საგანგებო მდგომარეობა

საგანგებო მდგომარეობისას, რომელიც გამოცხადებულია კანონიერი გზით როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად და როდესაც საფრთხე ემუქრება ქვეყნის არსებობას, შესაძლებელია შებლუდების დანესება აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე, მაგრამ არსებული მდგომარეობის სიმძიმის ფარგლებში და მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება სხვა ვალდებულებებს.

4. დისკრიმინაციის აკრძალვა

აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შებლუდვა, ეროვნული უშიშროების ინტერესების ჩათვლით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიცავდეს დისკრიმინაციას, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის გამო.

ნაწილი 2. აზრის გამოხატვის თავისუფლების უზღუდვა

5. აზრის თავისუფლების დაცვა

დაუშვებელია პირისთვის ყოველგვარი წინააღმდეგობის შექმნა, შებლუდვა და სანქციის დანესება, მისი მოსაზრებების გამო.

6. აზრის გამოხატვა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას

მე-15 და მე-16 ნორმებიდან გამომდინარე, აზრის გამოხატვა ეროვნული უშიშროების ინტერესების დასაცავად შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შეძლებს დაამტკიცოს:

- ა) აზრის გამოხატვა მიზნად ისახავს ძალადობის პროვოცირებას;
- ბ) შესაძლოა გამოიწვიოს ძალადობა;
- გ) არსებობს პირდაპირი და უშუალო (დაუყოვნებელი) კავშირი აზრის გამოხატვასა და ძალადობას, ან მისი განხორციელების საფრთხეს შორის.

7. აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა

მე-15 და მე-16 ნორმების შესაბამისად, აზრის მშვიდობიანი გამოხატვა არ უნდა იქნას განხილული, როგორც ეროვნული უშიშროების ინტერესებისთვის საფრთხის შექმნა და, შესაბამისად, დაუშვებელია ყოველგვარი შებლუდვებისა და სანქციების დაკისრება.

აზრის გამოხატვას, რომელიც არ უქმნის საფრთხეს ეროვნულ უშიშროებას, მიეკუთვნება (მაგრამ ამ ჩამონათვალით არ შემოიფარგლება):

- ა) მოწოდება მთავრობის ან მისი პოლიტიკური კურსის არაძალადობრივი გზით შეცვლის შესახებ;
- ბ) ქვეყნის, მისი სიმბოლიკის, ერის, მთავრობის, მისი სტრუქტურის ან საჯარო თანამდებობის პირის³, ასევე უცხო ქვეყნის, მისი სიმბოლიკის, ერის, მთავრობის, მისი სტრუქტურის ან საჯარო თანამდებობის პირის კრიტიკა ან შეურაცხყოფა;
- გ) პროტესტი ან პროტესტის მხარდაჭერა სინდისის, რწმენის თუ რელიგიურ ნიადაგზე, სამხედრო სამსახურის, განვევის წესის, სამხედრო კონფლიქტის ან საერთაშორისო დაცვის გადანყვეტაში სამხედრო ძალის გამოყენების წინააღმდეგ;
- დ) ინფორმაციის გავრცელება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის თაობაზე.

დაუშვებელია ვინმეს მიერ სანქციების გამოყენება ქვეყნის, მისი სიმბოლიკის, ერის, მთავრობის, მისი სტრუქტურის, ან საჯარო თანამდებობის პირის, ასევე უცხო ქვეყნის, მისი სიმბოლიკის, ერის, მთავრობის, მისი სტრუქტურის, ან საჯარო თანამდებობის პირის კრიტიკისა და შეურაცხყოფისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრიტიკისა და შეურაცხყოფის მიზანი იყო ძალადობის პროვოცირება.

8. საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას

დაუშვებელია აღკვეთილ იქნას აზრის გამოხატვა, აზრის გამომხატველი პირი კი დაისაჯოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ახმოვანებს ინფორმაციას, გავრცელებულს იმ ორგანიზაციის მიერ, რომელიც მთავრობის გადანყვეტილებით საფრთხეს უქმნის ეროვნულ უშიშროებას, ან ინფორმაციას ამ ორგანიზაციის შესახებ.

³ საჯარო თანამდებობის პირად ითვლება: ქვეყნის მეთაური, მთავრობის მეთაური, მთავრობის ყველა თანამდებობის პირი, მინისტრების ჩათვლით, პოლიციის, სამხედრო და უშიშროების ძალების ყველა ოფიცერი და თანამდებობის პირი, ასევე ყველა არჩეული თანამდებობის პირი.

9. უმცირესობათა ან სხვა ნებისმიერი ენის გამოყენება

აზრის გამოხატვა როგორც წერილობით, ისე სიტყვიერი ფორმით დაუშვებელია აიკრძალოს იმ მოტივით, რომ ის მიეკუთვნება განსაზღვრულ, განსაკუთრებით კი უმცირესობათა ენას.

10. აზრის გამოხატვაში უკანონოდ ხელის შეშლა სხვათა (მესამე პირთა) მხრიდან

მთავრობა ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები კერძო პირთა თუ ცალკეული ჯგუფების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლებაში უკანონოდ ჩარევისგან იმ შემთხვევაშიც, თუ აზრის გამოხატვა მთავრობის ან მისი პოლიტიკის კრიტიკას ემსახურება.

მთავრობა ვალდებულია აღკვეთოს ნებისმიერი უკანონო ქმედება, მიმართული აზრის გამოხატვის თავისუფლების ჩასახშობად, გამოიძიოს იგი და სამართალში მისცეს ყველა დამნაშავე.

ნაწილი 3. შეზღუდვები ინფორმაციის ხელისაწვდომობაზე

11. ინფორმაციის მიღების ზოგადი წესი

ყველას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია საჯარო პირთა შესახებ, მათ შორის ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. დაუშვებელია ნებისმიერი შეზღუდვის დანესება ამ უფლების განხორციელებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული და წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული ინტერესების დასაცავად.

12. გასაცემად დაუშვებელი ინფორმაციის ზუსტი განსაზღვრა

დაუშვებელია სახელმწიფომ მთლიანად აკრძალოს ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გაცემა; აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს ინფორმაციათა ის კატეგორია, რომლის გაცემაც დაუშვებელია ეროვნული უშიშროების ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე.

13. საზოგადოებრივი ინტერესი

ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღებისას აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესის უპირატესი გათვალისწინება.

14. ინფორმაციის გაცემაზე უარის გადასინჯვის უფლება

სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ ზომების შესაბამისად,

თანამდებობის პირებს, რომელთაც უარი განაცხადეს ინფორმაციის გაცემაზე, უნდა მოეთხოვოთ გადაწყვეტილების დროული და წერილობითი დასაბუთება. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნას პირის უფლება – ინფორმაციის მიღებაზე უარის შემთხვევაში გადაამონმოს გადაწყვეტილების კანონიერება როგორც ნეიტრალური თანამდებობის პირის, ისე ცალკეულ შემთხვევაში სასამართლო ორგანოს მიერ. შემონმებულ თანამდებობის პირს უნდა მიეცეს უფლება, გაეცნოს ინფორმაციის შინაარსს⁴.

15. საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების ზოგადი წესი

დაუშვებელია ვინმეს დასჯა ეროვნული უშიშროების დაცვის ნიადაგზე ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, თუ (1) ეს რეალურად ზიანს არ აყენებს, ან არ უქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს ეროვნულ უშიშროებას, ან თუ (2) ინფორმაციის ცოდნის საზოგადოებრივი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი გამჟღავნებით გამოწვეული ზიანი.

16. სახელმწიფო სამსახურის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია

დაუშვებელია პირი დაისაჯოს ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის საფუძველზე იმ ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სახელმწიფო სამსახურის წყალობით, თუკი ინფორმაციის გაგების საზოგადოებრივი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამჟღავნებით გამოწვეული ზიანი.

17. საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაცია

თუ ინფორმაცია საზოგადოდ ხელმისაწვდომი გახდა კანონიერი ან უკანონო გზით, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მისი შემდგომი გავრცელებისთვის ყოველგვარი ხელის შეშლა დაუშვებელია.

⁴ პერსონალური ინფორმაციის გაცემისათვის აუცილებელი დამატებითი პირობები, რომლებიც კავშირშია, მაგალითად პირადი საიდუმლოების დაცვის უფლებასთან, სცილდება ამ ნორმების ფარგლებს.

18. ინფორმაციის წყაროს დაცვა

ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვა არ შეიძლება გახდეს მიზეზი ჟურნალისტის იძულებისა, გაამხილოს ინფორმაციის კონფიდენციალური წყარო.

19. შეზღუდულ სფეროთა ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების შეზღუდვა არ უნდა გადაიზარდოს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაში. კერძოდ, დაუშვებელია მთავრობამ ხელი შეუშალოს ჟურნალისტებსა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტების შესრულებაზე; ისეთ სფეროებში მუშაობაში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების დარღვევას. ასევე დაუშვებელია, რომ მთავრობამ ჟურნალისტები და ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები არ დაუშვას იქ, სადაც ხორციელდება ძალადობა და ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი იქ ყოფნა რეალურ საფრთხეს უქმნის სხვათა უსაფრთხოებას.

ნაწილი 4. სამართლებრივი დაცვა და სხვა

20. სამართლებრივი დაცვის ზოგადი წესი

ნებისმიერი პირი, რომელიც ბრალდებულია ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, სარგებლობს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებით, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ უფლებებს:

- ა) უფლება უდანაშაულობის პრეზუმფციაზე;
- ბ) არ იქნას თვითნებურად დაკავებული;
- გ) დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე იქნას ინფორმირებული წაყენებული ბრალდებისა და მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების შესახებ;
- დ) დროულად დაამყაროს კავშირი დამცველთან;
- ე) გონივრულ ვადაში ჩატარდეს სასამართლო განხილვა;
- ვ) საკმარისი დრო მიეცეს დაცვის მომზადებისათვის;
- ზ) უფლება, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ განხორციელებულ სამართლიან და ღია სასამართლო პროცესზე;
- თ) უფლება, ბრალდების მონმეთა დაკითხვაზე;
- ი) უფლება, სასამართლოსთვის მხოლოდ იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის შესაძლებლობაზე, რომელთა შესახებაც ბრალდებული ინფორმირებული იყო და რომელთა უარყოფის შესაძლებლობა ჰქონდა მიცემული;

- კ) მიმართოს დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოს ან ტრიბუნალს მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა და გაუქმების მოთხოვნით.

21. სასამართლო დაცვის საშუალებები

სასამართლო დაცვის ყველა საშუალება, მათ შორის სპეციალურ საშუალებათა ჩათვლით, როგორცაა “habeas corpus” ან “amparo” ხელმისაწვდომი იქნება პირისთვის, რომელიც ბრალდებულია ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, მათ შორის საგანგებო მდგომარეობის არსებობის პირობებშიც, როდესაც საფრთხე ემუქრება ქვეყნის არსებობას, მე-3 ნორმის შესაბამისად.

22. უფლება დამოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ განხორციელებულ პროცესზე

- ა) ბრალდებულის არჩევანის შესაბამისად, ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმე განხილულ იქნას ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (იქ სადაც აღნიშნული ინსტიტუტი არსებობს), ან დამოუკიდებელ მოსამართლეთა მიერ.

ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ბრალდებული პირის გასამართლება იმ მოსამართლეთა მიერ, რომელთაც არა აქვთ სამსახურის შენარჩუნების გარანტია, არღვევს პირის უფლებას, გასამართლებულ იქნას დამოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ.

- ბ) დაუშვებელია სამოქალაქო პირი ან სამხედრო მოსამსახურე გასამართლებული იქნას “ad hoc”-ის წესით ან სპეციალურად შექმნილი ეროვნული სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ.

23. ცენზურა

დაუშვებელია აზრის გამოხატვაზე ცენზურის დანესება. გამონაკლისს წარმოადგენს საგანგებო მდგომარეობა, როდესაც საფრთხე ემუქრება ქვეყნის არსებობას, მე-3 ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

24. შეუსაბამო (დისპროპორციული) სასჯელი

დაუშვებელია პირის მიმართ, რომელიც ბრალდებულია ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში, გამოყენებულ იქნას ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შეუსაბამო (დისპროპორციული) შიზღუდეები, სანქციები და სასჯელები.

25. ამ ნორმების კავშირი სხვა სტანდარტებთან

არცერთი ზემოთ მოყვანილი ნორმებიდან არ შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას, როგორც საერთაშორისო, რეგიონული თუ ეროვნული კანონმდებლობით ან სტანდარტებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რაიმე სახის შიზღუდე.



გლობალური კამპანია გამოხატვის თავისუფლების მხარდასაჭერად

ორგანიზაცია **Article 19** თავის სახელწოდებას იღებს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლიდან და შესაბამისად ემსახურება ამ მუხლში მოცემულ გამოხატვის თავისუფლებას:

“ყოველ ადამიანს აქვს აზრის და მისი თავისუფლად გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას იქონიოს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.”

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

Article 19 – ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გამოხატვის თავისუფლების პოპულარიზაცია და ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა სხვადასხვა მეთოდებით მათ შორის სამაუწყებლო საშუალებების გამოყენებით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ წარვმართავთ სხვადასხვა კამპანიების, ვანარმოებთ კვლევით და სამეცნიერო საქმიანობას, შევიმუშავებთ სტანდარტებს გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა სფეროების მიხედვით და ვქმნით პარტნიორთა საერთაშორისო ქსელს. ჩვენ ვცდილობთ ჩვენს საქმიანობაში ჩავაბათორობოთ ფართო წრე, როგორცაა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები, სახელმწიფო ორგანოები და კერძო სექტორის წარმომადგენლები და ხელი შევუწყობთ საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების დამკვიდრებას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

საკუთარი მიზნის მისაღწევად **Article 19** ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ხელს უწყობს გამობატვის თავისუფლებისა და ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის რეალიზებისათვის იურიდიული, ინსტიტუციური და კონცეპტუალური ბაზის მომზადებას, როგორც საერთაშორისო, ასევე კონკრეტული სახელმწიფოების დონეზე;
- მხარს უჭერს გამობატვის თავისუფლების პოპულარიზაციას საერთაშორისო, რეგიონულ და სახელმწიფოებრივ დონეზე;
- კავშირს ამყარებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და ქმნის საერთაშორისო, რეგიონალურ თუ ლოკალურ მონიტორინგის ჯგუფებს გამობატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების დაცვისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად;
- მხარს უჭერს ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ კამპანიებში გამობატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

Article 19

არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია (UK Charity No. 327421).

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ

შემდეგ მისამართზე

Lancaster House, 33 Islington High Street

London, N1 9LH, United Kingdom

Tel: +44 20 7278 9292, Fax: +44 20 7713 1356

E-mail: info@article19.org, Web site: www.article19.org

International Board: Richard Ayre (UK), *Chair*; Peter Phillips (UK), *Treasurer*;
Galina Arapova (Russia); Param Cumaraswamy (Malaysia); Paul Hoffman (USA);
Cushrow Irani (India); Jody Kollapen (South Africa); Gara LaMarche (USA),
Daisy Li (Hong Kong); Goenawan Mohamad (Indonesia), Arne Ruth (Sweden),
Malcolm Smart (UK)

Honorary Member: Aung San Suu Kyi (Burma)

Executive Director: Andrew Puddephatt